პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 266 (19707) პარასკევი, 21 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ყურადღება: პროდუქციას მიიღებს სახელმწიფო!

ამ რუბრიკით გაზეთი „კომუნისტი" დღეიდან იწყებს მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც ასახავენ სახელმწიფო მიღებისათვის რესპუბლიკის საწარმოებისა და დარგების მომზადების მიმდინარეობას.

ეს რადიკალური ღონისძიებაა

სამრეწველო სამინისტროთა გაერთიანებებსა და საწარმოებში პროდუქციის სახელმწიფო მიღების საკითხები, რომლებიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ახლახან გამართულ თათბირზე განიხილეს, საერთო ყურადღების ცენტრშია. დაჩქარება, აღნიშნა თათბირზე თავის სიტყვაში მ. ს. გორბაჩოვმა, განუყრელად უკავშირდება ხარისხს. იმას, ვინც სხვანაირად ფიქრობს, საერთოდ ვერ გაუგია აქამდე, თუ რა არის დაჩქარება, დაჩქარება უწინარეს ყოვლისა ტექნიკური პროგრესის, ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე გადასვლის, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების მეშვეობით. მთავარია ხარისხი და კიდევ ერთხელ ხარისხი. საქმე ეხება უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხს, რამეთუ პროდუქციის ხარისხი ეკონომიკის ყველა დარგის მუშაობის შედეგს აჯამებს.

ურთულესი გამოცდა ელის ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის იმ 22 საწარმოს, რომლებიც მომავალი წლის იანვრიდან გადადიან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე. მათ შორის არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და მანქანათსაშენებელი კომპლექსის საწარმოთა დიდი ნაწილი, აგრეთვე რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანება, ქუთაისისა და თბილისის „განთიადის" საწარმოო გაერთიანების ავეჯის კომბინატები.

რესპუბლიკის საწარმოებში განიხილავენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული პროდუქციის სახელმწიფო მიღების დაწესების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის შედეგებს, თათბირზე მ. ს. გორბაჩოვის სიტყვას, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი აღნიშნავენ, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის ღონისძიებები ხელს შეუწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, მსჯელობენ, როგორი მზადყოფნით ხვდებიან ახლებურად მუშაობის პირობებს.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის სახსტანდარტის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს მ. გეგეშიძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

რას ნიშნავს პროდუქციის სახელმწიფო მიღება, რა ფუნქციებს შეასრულებს ამ შემთხვევაში საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილება?

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის მაისში მიიღეს დადგენილება „პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების შესახებ", რომელიც მთლიანად შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა. ამან მნიშვნელოვნად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარება, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უკანასკნელ წლებში ქვეყნისა და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში განხორციელდა პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის წინაშე წამოჭრილი დიდი ამოცანების გადაწყვეტას.

ბევრ გაერთიანებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში ვერ იცავენ ტექნოლოგიურ და შრომის დისციპლინას, სტანდარტებისა და ტექნიკურ პირობებს, დაბალია წარმოების კულტურა, დიდია წუნიანი ნაწარმის რაოდენობა.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული იმ მრავალი ღონისძიებიდან, რომლებზეც დადგენილებაშია ლაპარაკი, განსაკუთრებით ყურადსაღებია არასაიმედო კონტროლის — პროდუქციის სახელმწიფო მიღების დაწესება. ეს სპეციალური ორგანო მხოლოდ სახსტანდარტს ემორჩილება. მიღება ხდება ობიექტურად და ყველასაგან დამოუკიდებლად. სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა, მოითხოვს საბოლოოდ უკუვაგდოთ სამინისტროებისა და უწყებების, სამეურნეო ხელმძღვანელების საქმიანობაში ფეხმოკიდებული სტერეოტიპები. სახელმწიფო მიღება ქმედითი, მაგრამ [illegible] საშუალებაა.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ ჩინებული, მაღალხარისხოვანი შრომა უფრო მეტად წახალისდეს, ვიდრე ის დღეს ხდება, და, პირიქით, წაგებული დარჩნენ ისინი, ვინც ძველი ურმით მიჭრიალებს და დრომოჭმულ პრინციპებს იბღაუჭება, — გეგმა როგორმე უნდა შევასრულოთ, პროდუქციის ხარისხი კი მეათეხარისხოვანი საქმეაო.

დიახ, სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა არ არის იოლი, ვინც სამისოდ არ მოემზადა, გაუჭირდება. საქმე ის არის, რომ ამასთან ერთად იანვრიდან ამოქმედდება პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა ასპროცენტიანი შესრულების დებულება. ყოველივე ეს ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ ღონისძიებათა მჭიდრო კვანძად შეიკვრება, საჭირო პირობებს შექმნის სახალხო მეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად.

რაც შეეხება ტექნიკურ კონტროლს, დადგენილებაში ამაზეც ზედმიწევნით ნათლად და გასაგებად არის ნათქვამი. სახელმწიფო მიღების პირობებში განუზომლად მატულობს მისი როლი და მნიშვნელობა. ეს სამსახური, როგორც თათბირზე აღინიშნა, გადაულახავი დაბრკოლება უნდა გახდეს უხარისხო პროდუქციის გამოშვების გზაზე. სწორედ ტექნიკური კონტროლის განყოფილება წარადგენს პროდუქციას სახელმწიფო მიღებაზე. უნდა მივაღწიოთ ტექნიკური კონტროლის განყოფილების სამსახურებისა და სახელმწიფო მიღების ორგანოების მწყობრ თანამოქმედებას. მათ შორის საქმიანი ურთიერთობა პრინციპულ საფუძველზე უნდა დამყარდეს. ტექნიკური კონტროლის ხელმძღვანელი გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე ხდება და ამით დიდად იზრდება ამ სამსახურის ავტორიტეტი.

ჩვენი რედაქცია მაქსიმალურად შეეცდება შეატყობინოს მკითხველს, როგორ მოემზადა თითოეული იმათგანი, ვინც პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადადის. დღეს კი ურიგო არ იქნებოდა, თუ შედარებით მოკლედ შევეხებოდით ახლებურად მუშაობის წინა პერიოდის საერთო მდგომარეობას.

ამ მიმართულებით ცოტა რამ როდი გაკეთდა, მაგრამ მოსაგვარებელია გაცილებით მეტი საქმე. ანალიზმა ცხადყო, რომ გაერთიანებებისა და ცალკეული საწარმოებისათვის პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლის სამზადისი უპირველესი საზრუნავი არ გამხდარა. საკმარისად ვერ შეასრულეს თავიანთი როლი ამ საქმეში ხელმძღვანელმა მუშაკებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა. შემოწმებისას ყველგან არ იყო შექმნილი სამუშაო ჯგუფები სახელმწიფო მიღების მოსამზადებლად, არ იყვნენ ამის შესახებ ინფორმირებული მუშები და ტექნიკური შემადგენლობანი. ახლებური აზროვნებისა და მოქმედებისათვის არც ტექნიკური კონტროლის განყოფილებები გარდაქმნილან. მთელ რიგ საწარმოებში სახელმწიფო მიმღებთა შტატები არ იყო დაკომპლექტებული. კონკრეტული ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებები ნელა ხორციელდება და ისინი ყოველთვის არ უკავშირდება მთავარ მიზანს — პროდუქციის სახელმწიფო მიღების აუცილებლობას.

რუსთავის „აზოტის" საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, არ გადაუსინჯავთ და დაუმტკიცებიათ რიგ საამქროთა ტექნოლოგიური პროცესები. წარმოების ზოგიერთი რგოლის ტექნოლოგია ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვებას სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. არ არის უზრუნველყოფილი საკონტროლო მოწყობილობითა და მატერიალური საშუალებებით აგრეთვე **ქუთაისის საავტომობილო ქარხნის** საწარმოო გაერთიანების ზოგიერთი უბანი. ძირითად ტექნოლოგიურ პროცესზე გადასვლისათვის მექანიკურ-საამწყობო წარმოებაში საჭიროა დაიდგას და ამოქმედდეს სპეციალური და უნივერსალური ჩარხები. მოწყობილობას ელოდება ამ გაერთიანების მეტალურგიული და საშემდუღებლო წარმოებები. ჭიანურდება წარმოების კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებული არცთუ ცოტა საქმის მოგვარება. მიუხედავად მრავალი პრეტენზიისა და გაფრთხილებისა, განსაკუთრებული ძვრები არ იგრძნობა. სხვათა შორის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანების სახელმწიფო მიღების ორგანოების შტატში წესით 53 კაცი ირიცხება, და ამიტომ საჭიროა მისი დროული დაკომპლექტება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგომარეობა გართულდება.

რაც შეეხება **რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას**, აქ გადახრებია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციებისაგან, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს. მრავალი ტექნიკური ხასიათის ნაკლის აღმოსაფხვრელად აუცილებელია 900/750 მილსანამზადო დგანის რეკონსტრუქცია, საკალიბრო და სარედუქციო დგანის შეცვლა, დეფექტოსკოპების დადგმა და სხვა.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ტექნიკური კონტროლის განყოფილების ყველა საგუშაგო არ არის აღჭურვილი საზომი საშუალებებით, სუსტად ინერგება თვითკონტროლის მეთოდი. საჭიროა ეტალონებით, საზომებითა და სხვა საშუალებებით ქარხნის უზრუნველყოფა. აქ მხოლოდ პირველი იანვრისათვის ვარაუდობენ. ჭიანურდება ტექნოლოგიური პროცესების გადასინჯვა-დაზუსტებაც.

სირთულეებს, ალბათ, **ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის** კოლექტივიც წააწყდება. ტექნოლოგიური პროცესების ნორმალურ მსვლელობასა და ტექნოლოგიური პარამეტრების კონტროლს ხელს შეუშლის საჭირო რაოდენობის ქიმიური რეაქტივების, დანადგართა სათადარიგო ნაწილების, საზომ საშუალებათა უქონლობა. შემაფერხებელი მიზეზები სხვაც ბევრია და ამიტომ, ეს როგორც ჩანს, ცალკე სალაპარაკო თემაა. გასაჭირი აქვს **თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანასაც.** აქ მომავალი წლიდან ახალი პროდუქცია უნდა აითვისონ და საამისოდ ჯერ ტექნიკური დოკუმენტაციაც კი არა აქვთ. ისევე როგორც არა აქვთ დეტალების თერმული დამუშავებისა და სამღებრო უბნები.

ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში უნდა დაჩქარდეს ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება და კორექტირება, შემუშავდეს და დამზადდეს 30 ცალი აღჭურვილობა.

არც ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაა უზრუნველყოფილი საზომი და საკონტროლო საშუალებებით, აგრეთვე აღჭურვილობით. ყველა ტექნოლოგია როდი შეესაბამება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს შემდუღებლების კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება **რუსთავის ამწევების ქარხანაში.** საქმე ის არის, რომ იმ პრეტენზიების 65 პროცენტი, რომლებსაც ქარხანა იღებს თავის პროდუქციაზე, უხარისხო შედუღების წილად მოდის. ვერა და ვერ მოგვარდა ამ საწარმოში შესაღებად ნაწარმის ზედაპირის ვარგისიანობის საკითხი.

არც **თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო დანადგარების ქარხნის** ყველა სახეობის პროდუქციაა უზრუნველყოფილი პერიოდული საკონტროლო გამოცდით. პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად **თბილისის „მიკროძრავას" ქარხანაში** საჭიროა გადაწყდეს საწარმოს ხარისხიანი ფოლადით, დასახვევი სადენებითა და სხვა აუცილებელი დანადგარებით აღჭურვის საკითხები.

ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გარდა, რომელზეც უკვე ზევით გვქონდა ლაპარაკი, ბათუმის სამრეწველო საწარმოებიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადადიან **საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი და მანქანათსაშენებელი ქარხნები.** პირველი მათგანის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ იქ დამზადებული მილები ვერ უძლებენ საგარანტიო დროს. ჭიანურდება ტექნოლოგიური პროცესების გადასინჯვა და ძველი მასალების ახლით შეცვლა პერსპექტიული სახეობის მილების გამოშვების მიზნით. მეორე საწარმოში სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა ნავარაუდევია 15 დეკემბრისათვის. ამასთან, პროდუქციის ეტაპობრივი სახელმწიფო მიღება განსაზღვრული იყო ოქტომბერ-დეკემბერში, რისთვისაც აქ არ აღმოჩნდნენ მთლიანად მომზადებული.

მომავალი წლიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღება **დაიწყება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანაშიც.** რეკონსტრუირებულ და განახლებულ საწარმოს მნიშვნელოვნად მეტი საშუალება აქვს საუკეთესო ლოკომოტივებისა და სხვა სახეობის ნაწარმის გამოშვებისათვის. აქ აუცილებელია დაჩქარდეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება ახალი ვლ-15 სერიის ელმავლის სერიული გამოშვებისათვის, ვლ-11 სერიის ელმავლის მაღალ დონეზე მოდერნიზაციისათვის, ელექტროშტაბელიორების სრულყოფისათვის, ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავებისათვის.

როგორც საუბრის დასაწყისში ითქვა, პროდუქციის სახელმწიფო მიღება მომავალი წლიდან **ქუთაისის ავეჯის კომბინატშიც იწყება,** მაგრამ აქ ნელა მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის გადასინჯვა და დამტკიცება. წარმოება მთლიანად არ არის აღჭურვილი დანადგარებით, ტექნოლოგიით, საზომი და საკონტროლო საშუალებებით. პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა ტექნიკური კონტროლის განყოფილების გარდაქმნისათვის, არ მოქმედებს თვითკონტროლის სისტემა, დასაკომპლექტებელი და გასაძლიერებელია საწარმოს ხელმძღვანელთა რგოლი. **„განთიადის" საწარმოო გაერთიანებაში** სხვა საკითხებთან ერთად გადასაჭრელია საწარმოს მაღალი ხარისხის ნედლეულით სტაბილური მომარაგების პრობლემა, მოთხოვნებს არ შეესაბამება საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა **თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატშიც,** მაგრამ ამ საწარმოზე, ისევე როგორც პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადამსვლელ სხვა საწარმოებზე, ცალკე გესაუბრებით.

როგორც შემონათქვამიდან ჩანს, საწარმოთა დიდი ნაწილი ჯერ არ არის მთლიანად მზად ახლებური მუშაობისათვის და ეს, ალბათ, დრამატულ სიტუაციებს შექმნის არა?

უმტკივნეულოდ ეს პროცესი ცხადია, ვერ ჩაივლის. საკითხი ეხება საქმისადმი სრულიად ახლებურ, უჩვეულო მიდგომას. უკან დასახევი გზაც აღარ არის. უნდა შეიცვალოს წარმოებისადმი ძველებური, ნამდვილად დრომოჭმული დამოკიდებულება. ხარისხის საკითხი, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა ბრძანა, თვით ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში, მოაქცია გარდაქმნის ყურადღების ცენტრში. ახლანდელი ხუთწლედი უძნელესი და ურთულესია, მაგრამ ამასთანავე ყველაზე საინტერესო ხუთწლედია. ჩვენ მოვალენი ვართ მივაღწიოთ იმას, რომ ორგანული ერთიანობით წყდებოდეს მთავარი ეკონომიკური ამოცანები. სწორედ ასეა შედგენილი მეორე წლის გეგმა, გათვალისწინებულია განვითარების ტემპის დაჩქარება, წარმოებისა და ტექნოლოგიის კარდინალური განახლება, სულ უფრო და უფრო მაღალი ტექნიკური დონისა და ხარისხის სამრეწველო ნაწარმისა და ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის გამოშვება.

დიახ, მოგვიწევს უამრავი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის სირთულეთა დაძლევა, დაბრკოლების გადალახვა, ძალების მაქსიმალური დაძაბვა.

ცხადია, ითქვა პროდუქციის სახელმწიფო მიღების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე, ხვალ თუ ზეგ მანქანათმშენებლობის პროდუქციის მთელი ასი პროცენტი მსოფლიო დონის შესაბამისი ვერ გახდება. ამისათვის ბევრი რამ უნდა გადაკეთდეს, ბევრი რამ მოვიფიქროთ, დავიწყოთ იმით, რომ განვსაზღვროთ ნაწარმის ხარისხის ძიების მიმართულება, შევუჯეროთ იგი მსოფლიო დონეს.

ზ. ამაშუკელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რიგითი დღე

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მრთველის, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირის, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, III ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსნის ნელი გელდიაშვილის შრომით კალენდარზე 1991 წელია.

უდიდესი ნდობა გამოუცხადეს ნელის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი ცდილობს კარგად შეუთავსოს ერთმანეთს თავისი ძირითადი საქმე და დეპუტატის სტატუსით გათვალისწინებული მოვალეობა.

ახლაც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართული სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიიდან დაბრუნებული ახალგაზრდა დეპუტატი ჩვეულ შრომით რიტმში ჩაება.

დღეს მორიგი მიღება აქვს.

ა. სააკოვის ფოტო.

შრომითი ქრონიკა

ხუთწლედის ორი წლის გეგმა — ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

ნოვატორთა წვლილი

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდების შედეგად დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადავრიცხოთ 1,5-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდში! — ამ დევიზით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევენ თბილისის ქაღალდის ფაბრიკის ტექნიკური აზრის ნოვატორები. მათ მიმდინარე წლის ათ თვეში შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს ბევრად მეტი ტექნიკური სიახლე, ვიდრე ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებდა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი გამომგონებელთა იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც ო. ხითარიძე და თ. კარიბოვი ხელმძღვანელობენ, მათ მთელი რიგი არსებითი ტექნიკური სიახლენი შეიტანეს ქაღალდის საჭრელი მანქანის კონსტრუქციაში, რის შედეგადაც იგი ბევრად მეტ პროდუქციას იძლევა და ფაბრიკას წელიწადში 75 ათას მანეთს უზოგავს.

მოწინავე ხარატების გ. ურუმაშვილის, ა. გვოზდიოვისა და საწარმოს მთავარი ინჟინრის ვ. ხალიკიანის ნაყოფიერი გარჯის შედეგად ახალი სამარჯვი დაემატა ქაღალდის ხელსახოცების დამამზადებელ დანადგარს. ამის შედეგად მისი მწარმოებლობა თითქმის ორჯერ გაიზარდა, ხოლო მართვა უფრო იოლი გახდა.

დ. შოშიტაშვილმა, ვ. გვაზავამ, ნ. ხინთიბიძემ და სხვებმა რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად წელს 880 მანეთით მეტი თანხა გადარიცხეს ხუთწლედის ეკონომიის ფონდში, ვიდრე შარშან და ახლა მეტი თავდადებით შრომობენ ახალი მიჯნების დალაშქვრისათვის.

◆

მეწინავენი

გრაფიკის გასწრებით შრომობს საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც სამშობლოს უპატაკა კვერცხის წარმოების წლიური გეგმის შესრულება. 41 მილიონ 500 ათასი ცალის ნაცვლად აქ მიიღეს 41 მილიონ 542 ათასი ცალი კვერცხი.

მოწინავეთა შორის არის №4 ბრიგადა, რომელსაც ივანე ტოპეშაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლამარა ყორღანაშვილმა ყოველ მოქცეულზე გეგმით გათვალისწინებული 180-ის ნაცვლად 195 კვერცხი მიიღო.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით აწარმოოს 6 მილიონი ცალი კვერცხი.

ფერმა რენტაბელურად მუშაობს

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ბერიძე) ფერმა რაიონში ერთადერთია, რომელიც რენტაბელურად მუშაობს. ამას გონიოელებმა ძირითადად საკვები ბაზის განმტკიცებით მიაღწიეს. ციტრუსების ბაღები გაწმინდეს სარეველებისაგან და რიგთაშორისებში, მიგდებულ ადგილებში ბალახი დათესეს.

საკვებმომპოვებელთა ბრიგადას საათივით აქვს საქმე აწყობილი. მარჯვედ მუშაობენ მექანიზატორები ი. მუთიძე, ნ. ბერიძე, ბრიგადა დღეში 60 ტონა მწვანე მასას დებს სენაჟად და სილოსად.

სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება აქ უკვე 1 ოქტომბერს შეასრულეს. სანიმუშოდ ირჯებიან მწველავები ნ. მიქელაძე, ვ. კახიძე, გ. მრუნჯაძე, ე. ბერიძე და სხვები. ისინი წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ვარაუდობენ კიდევ 30-35 ტონის მოწველას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მიხეილ ლომონოსოვი

ო დ ა

(ნაწყვეტი)

ვინ შეაკავა ზღვა
ნაპირებით,
და უფსკრულს მტკიცე
დაუდო კიდე —
ზღვას ვინ უბრძანა
მძვინვარ ტალღებით
თავის ნაპირებს აღარ
გასცილდეს?
ჩალამებული შავად
უფსკრული
მე არ გავხსენი მძლავრი
ხელებით,
მე არ გავფანტე ბნელი
ბურუსი,
და ოკეანე დავძარ
ხმელეთით?

ვ. გორგაძის თარგმანი.

დიდი მამულიშვილი

სამამულო მეცნიერებისა და კულტურის ცის კაბადონზე ჩაუქრობელ ვარსკვლავად ანათებს ლომონოსოვის სახელი. მან, გამოჩენილმა მეცნიერ-ენციკლოპედისტმა, დაუცხრომელმა განმანათლებელმა და თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტმა, ჩვენი სამშობლოს განვითარებას დინამიზმი მიანიჭა, გახდა ჩვენთვის მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის სიმბოლო, ადამიანი, რომელმაც თავის თავში განასახიერა ხალხის უდიდესი ძალა.

რუსული და მსოფლიო მეცნიერების კორიფეს დაბადების 275 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 19 ნოემბერს გამართა სსრ კავშირის დიდ თეატრში.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე საკავშირო

მ. ვ. ლომონოსოვის დაბადების 275 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

▼▼

საიუბილეო კომისიის წევრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აქვე არიან საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წარმოგზავნილები, თვალსაჩინო საზღვარგარეთელი მეცნიერები, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოს — მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლის ლაურეატები.

საზეიმო სხდომა გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ი. მარჩუკმა. სამამულო მეცნიერების ფუძემდებლის მრავალმხრივი საქმიანობა, თქვა მან, უაღრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის სახელმწიფოს საარსებო მოთხოვნილებებთან. მ. ვ. ლომონოსოვი დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ სამამულო მეცნიერებას მიეღწია მოწინავე პოზიციებისათვის — საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და ტექნიკაში, ისტორიასა და ფილოსოფიაში, ლიტერატურათმცოდნეობასა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში.

მრავალი წლის მანძილზე ლომონოსოვის ცხოვრება და მეცნიერული შემოქმედება განუყრელად იყო დაკავშირებული მეცნიერებათა აკადემიასთან. მან ბევრი რამ გააკეთა რუსეთში განათლების განვითარებისათვის, რუს მეცნიერთა მომზადებისათვის, თავისი მაგალითით მან დაამტკიცა, „რომ ძალუძს რუს ხალხს, თვით პლატონები და მკვირცხლი აზრის ნიუტონები თავის წიაღში აღმოაცენოს".

(დასასრული მე-4 გვ.)

ორდენები — ღირსეულთ

19 ნოემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ საბჭოთა კავშირის ორდენები გადასცა დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ლენინის ორდენები გადაეცათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ე. ვოსს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვ. მ. კამენცევს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. ს. მურახოვსკის, სკკპ საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს: ტომსკისას — ვ. ი. ზორკალცევს, ლიპეცკისას — ი. ა. მანაენკოვს, ჩუვაშეთისას — ი. პ. პროკოფიევს;

ოქტომბრის რევოლუციის ორდენები — სკკპ საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებს: ყაბარდო-ბალყარეთისას — ე. ა. ელისევს, ყალმუხეთისას — ვ. ა. ზახაროვს; შრომის წითელი დროშის ორდენები — კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებს: აზერბაიჯანისას — კ. მ. ბაგიროვს, სომხეთისას — კ. ს. დემირჩიანს, საქართველოსას — ჯ. ი. პატიაშვილს, სკკპ იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ი. ნ. პროკოპიევს, სკკპ კამჩატკის საოლქო კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს, ამჟამად სსრ კავშირის ელჩს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში დ. ი. კაჩინს.

დაჯილდოებულთა წინაშე გამოსვლისას ა. ა. გრომიკომ თქვა:

ნება მიბოძეთ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცოთ საპატიო ჯილდოების მიღება. თქვენ ყველანი ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ან წევრობის კანდიდატები ბრძანდებით.

სამშობლომ დიდად დააფასა თქვენი შრომითი დამსახურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე. ვფიქრობ, ამ დამსახურებათა ჩამოთვლას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

თქვენი სახელები მარტო იმ პარტიულ ორგანიზაციებში როდი იციან კარგად, რომლებსაც მეთაურობთ, და არც მარტო სახალხო მეურნეობის იმ სფეროებში, რომლებსაც ხელმძღვანელობთ. თქვენი სასიქეთო საქმეების ამბავი შორს გასცდა ამ ფარგლებს.

სასურველია, რომ ეს ჯილდოები მიიჩნიოთ არა მარტო მუშაობის შედეგების შეჯამებად, არამედ ერთგვარ სამომავლო ავანსადაც. ჩვენ ყველას დიდი, ხელებდაკაპიწებული გარჯა მოგველის, ასე ითქმის ჩვენში, როცა საქმე ეხება დაძაბულ შრომას. ეს ტევადი, კარგი ფრაზაა.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული დაჩქარებისა და გარდაქმნის ეტაპი თითოეული საბჭოთა ადამიანისაგან, მით უმეტეს ხელმძღვანელისაგან, მოითხოვს განახლებულ აზროვნებას, სიახლის გამძაფრებულ გრძნობას, იმის უნარს, რომ საყოველთაო აღმშენებლობის საქმეს მთელი ძალა, ცოდნა და ნიჭი შეალიოს, ჩემი აზრით, თქვენ სწორედ იმ ადამიანებს განეკუთვნებით, რომლებსაც ეს თვისებები აქვთ.

წარმატებას გისურვებთ მუშაობაში. გადმოგცემთ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის სალამს და გულითად სურვილებს.

ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ იმ პარტიულ კოლექტივებს, სახალხო მეურნეობის იმ სფეროებისა და იმ სამსახურების მშრომელებს, რომლებსაც თქვენ მეთაურობთ.

დაჯილდოებულთა სახელით ვ. ს. მურახოვსკიმ მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას მათი შრომის დიდი დაფასებისათვის.

ჩვენ ძალზე საინტერესო დროს ვცხოვრობთ, თქვა მან. ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ ხორციელდება დიდი, საინტერესო და, როგორც მას ხალხი უწოდებს, რევოლუციური პროგრამა, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური პირობების გარდაქმნას ითვალისწინებს.

ჩვენ ყველანი ამ ბრძოლის აქტიური მონაწილენი ვართ და გვესმის, რომ იმაზე, თუ როგორ განახორციელებენ ამ პროგრამას ჩვენი პარტია და ხალხი, დამოკიდებულია არა მარტო სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატება, არამედ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების საქმის წარმატებაც.

აქ დამსწრე ამხანაგების სახელით და პირადად მინდა აღგითქვათ თქვენ, ანდრია ანდრიას ძევ, და გთხოვთ გადასცეთ ეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომ ძალ-ღონესა და ცოდნას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ აქტიურად შევასხათ ხორცი პარტიის მიერ დასახულ პოლიტიკას.

(საქდესი).

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

დეპუტატ ჰ. კ. აიბას სიტყვა

(გუდაუთის სასოფლო საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის ასსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის განსახილველად წარმოდგენილმა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. მ. შკოლნიკოვის მოხსენებამ ქვეყნის სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის, იმ პასუხსაგებ ამოცანათა ფართო პანორამა გადაგვიშალა, რომლებსაც ისინი წყვეტენ დღეს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მიღების შემდეგ სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, შტატიანმა მუშაკებმა და აქტივმა შესამჩნევად გაზარდეს აქტიურობა, შეტევითობა და თავიანთი მოქმედების შედეგიანობა სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების დაცვა-შენახვისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევების, უშრომელი შემოსავლისა და სხვა ნეგატიური გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო კონტროლიორთა მუშაობაში დადებითი გარდაქმნები, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ყველა უბანზე შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, საქმიანობის ყველა სფეროში წესრიგის დამყარებას, ჩვენს რესპუბლიკაშიც ხდება. ეს ცვლილებები კმაყოფილებას გვგვრის, ზრდის სახალხო კონტროლიორთა ავტორიტეტს მშრომელთა, მთელი მოსახლეობის თვალში.

მაგრამ პარტია მოითხოვს, რომ სახალხო კონტროლის სოციალისტური სისტემა მუშაობდეს უფრო აქტიურად, ხელს ჰკიდებდეს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, გულარხეინობის შესაძლებლობას არ აძლევდეს იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც გული არ შესტკივათ სახელმწიფო საქმეებისათვის.

მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც სოფლის მეურნეობის მშრომელს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ყველაზე მეტად მაწუხებს სკკპ XXVII ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელების პრობლემები, რომელთა მიზანია ქვეყნის სასურსათო პროგრამის ეფექტიანი შესრულება. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრო იმას, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გარდაქმნა მოითხოვს ამ სფეროში მომუშავე სახალხო კონტროლიორთა მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნასაც. ახლა, როცა აგრომრეწვს ვმართავთ როგორც ერთიან მთლიანს, საჭიროა, კონტროლიც მასში კომპლექსურად ხორციელდებოდეს, მიზნად ისახავდეს ნაკლოვანებათა გამოვლენასა და აღმოფხვრას მთელი ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან მის გადამუშავებამდე და რეალიზაციამდე.

ასეთი მიდგომის აქტუალურობა, ჩვენი აზრით, განისაზღვრება იმითაც, რომ წლითიწლობით განუხრელად იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა. კერძოდ, როცა ასრულებენ პარტიის მითითებებს, აფხაზეთის სოფლის მშრომელებმა ათი თვის შედეგებით ყველა ძირითადი პოზიციის მიხედვით გადააჭარბეს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. მიღწეულში გარკვეული წილი მიუძღვის ჩვენი მეურნეობის — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებსაც, რომლის წარმატებებსაც ბევრად უწყობს ხელს 127 სახალხო კონტროლიორის კეთილსინდისიერი მუშაობა. ისინი წარმოადგენენ დიდ ძალას, რომელიც მკაცრად უნდა იცავდეს და ამრავლებდეს საზოგადოებრივ დოვლათს.

დღეს მაქვს საფუძველი ვთქვა, რომ ჩვენი კოლმეურნეობის არც ერთ სამეურნეო ხელმძღვანელს ახლა აზრად არ მოუვა უგულებელყოს სახალხო კონტროლიორთა მოთხოვნები. და საქმე მარტო ის როდია, რომ მათ წინადადებებს ყოველთვის მხარს უჭერენ კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული კომიტეტი, არამედ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახალხო კონტროლიორთა მიერ აღძრული პრობლემები, რამდენად დასაბუთებული და კომპეტენტურია მათი მიდგომა შემოთავაზებულ ღონისძიებათა შემუშავებისადმი.

მაგალითად, უკანასკნელი წლების მანძილზე სახალხო კონტროლიორთა რეკომენდაციებით აღმოფხვრილია ჩაის პლანტაციებისა და ვენახების სიმეჩხრე, რის შედეგად ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა 80-დან 150 ცენტნერამდე გაიზარდა ჰექტარზე, ხოლო ყურძნის მოსავლიანობა 60-დან 120 ცენტნერამდე. კოლმეურნეობაში განხორციელებულმა ამ და სხვა ღონისძიებებმა შესაძლებლობა მოგვცა არსებითად გაგვეუმჯობესებინა მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა, ფულადი შემოსავალი გადიდდა 2,5-ჯერ, წმინდა შემოსავალი კი 1,8-ჯერ.

მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს გადაუწყვეტელი საკითხები. ეს არის სიმინდის მცირე მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტების დიდი თვითღირებულება. კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა და პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებული საზრუნავია ჩვენი მთავარი პროდუქციის — ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების შემდგომი გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნულ და მთელ რიგ სხვა ამოცანათა გადაწყვეტას ჩვენ ვუკავშირებთ როგორც აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების გაუმჯობესებას, მიწის სავარგულების გამოყენების ინტენსიურობის გადიდებას, ისე სამეურნეო ხელმძღვანელების, სპეციალისტების, კოლმეურნეების მიმართ მომკითხველობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებასაც. და მთელ ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ სახალხო კონტროლიორებმა. აქ უფლება გვაქვს პრეტენზიები წავუყენოთ სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც ხშირად არ იჩენენ საჭირო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას.

ამავე დროს, ვსარგებლობ შესაძლებლობით და მინდა შევეხო ზოგიერ საპრობლემო საკითხს, რომლებიც არაერთგზის დაგვისვამს ჩვენ და სახალხო კონტროლის ორგანოებს, და რომელთა გადაწყვეტა დირექტიული ორგანოების ჩარევას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, რომელსაც უნიკალური ბუნებრივი რესურსები აქვს, ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკურორტო-გამაჯანსაღებელი რეგიონია. ამავე დროს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მშენებლობის მკვეთრი გადიდების გეგმები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შედგენილია ისე, რომ საკმაოდ არ არის გათვალისწინებული გარემოს დაცვის მნიშვნელობა, მოითხოვს დამატებითი ბუნებისდაცვითი ღონისძიებების შემუშავებას.

მეორე საკითხი. არა გვაქვს სპეციალური მანქანები სამთო მიწათმოქმედებისათვის, მოქმედი ტექნიკის სათადარიგო ნაწილები, რაც მკვეთრად აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ წვრილკონტურიან მიწის მასივებზე, აუარესებს სამუშაოთა ხარისხს. მაგრამ უკვე მრავალი წელია არ სრულდება სოფლის შეკვეთა — დაემზადებინათ აღნიშნული ტექნიკა, გაედიდებინათ სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

და ბოლოს, ამჟამად ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების წარმოება ბევრად აღემატება არსებულ სასაწყობო და სამაცივრო შენობათა შესაძლებლობებს. ამიტომ დანაკარგების შემცირებისათვის უკვე მიმდინარე ხუთწლედში უნდა დაჩქარდეს საწყობებისა და მაცივრების მშენებლობის ტემპი, ამასთან გამოიყოს საკმაო რაოდენობის სპეციალური მოწყობილობა და დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი.

ამხანაგებო! ორმოცდახუთი წლის წინათ ასეთსავე ნოემბრის დღეებში მოსკოვის უშუალო სიახლოვეს გაჩაღდა გიგანტური ბრძოლა, რომელმაც დასაბამი მისცა ფაშისტთა ურდოების განადგურებას, აურაცხელი უბედურება რომ მოუტანეს საბჭოთა ხალხს, ევროპის ხალხებს. ისევე როგორც დიდი სამამულო ომის ყველა ვეტერანისათვის, ჩემთვისაც უსაზღვროდ ძვირფასია მოკლე, მაგრამ ესოდენ ტევადი სიტყვა „მშვიდობა“, და მინდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მრავალეროვანი ოჯახის სახელით დიდი მადლობა მოვახსენო ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ, ქვეყნად სიცოცხლისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ასე დაუცხრომლად რომ იბრძვიან.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ საბჭოთა ადამიანის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ იბრძოლებენ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. მ. შკოლნიკოვის მოხსენება კომიტეტის საქმიანობის შესახებ და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების თანამოხსენება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებისა და სახალხო კონტროლის შესახებ კანონის შესაბამისად უკანასკნელი წლების მანძილზე ხორციელდება გარკვეული ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს სახალხო კონტროლი, როგორც სოციალისტური დემოკრატიის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში საბჭოთა ადამიანების აქტიურობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფორმა, როგორც კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცების ქმედითი საშუალება.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მითითებებით, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, სახალხო კონტროლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები სულ უფრო აქტიურად იყენებენ პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმების, სახელმწიფო გეგმა-დავალებების შესრულებისადმი კონტროლის მინიჭებულ უფლებამოსილებას. იზრდება სახალხო კონტროლის ორგანოების მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირებისადმი სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო. ფართოვდება კონტროლის საჯაროობა, შემოწმებათა მასალები განსახილველად გადაეცემა შრომით კოლექტივებს, შუქდება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სახალხო კონტროლის კომიტეტებში, ჯგუფებსა და საგუშაგოებში მუშაობს მუშათა, კოლმეურნეთა, სპეციალისტთა რიცხვიდან შრომითი კოლექტივების მიერ არჩეული სახალხო კონტროლიორთა დიდი რაზმი. ბევრი მათგანი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის საპატიო საზოგადოებრივ მოვალეობას.

საქმიანობაში სახალხო კონტროლის ორგანოებს ეხმარებიან და მხარს უჭერენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები. დიდი მნიშვნელობა აქვს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიებზე, მათი პრეზიდიუმების სხდომებზე, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების სესიებზე ამ ორგანოების მუშაობის განხილვას. სახალხო კონტროლის კომიტეტები საბჭოების მუდმივ კომისიებთან ერთად აძლიერებენ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმებას.

მტკიცდება სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების თანამოქმედება პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რაც არსებითად აფართოებს სახალხო კონტროლის დემოკრატიულ პოტენციალს. კანონიერების დარღვევებთან ბრძოლაში ვითარდება სახალხო კონტროლის ორგანოთა კონტაქტები სამართალდაცვით ორგანოებთან.

ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის დონე ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის გარდაქმნის ამოცანებს. უზრუნველყოფილი არ არის მუდმივი, ქმედითი, ნამდვილად სახალხო კონტროლი მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმების შესრულებისადმი, საკმარისად არ წარმოებს ბრძოლა სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, წამატებებისა და თვალის ახვევის, სამინისტროთა და უწყებათა აპარატის მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლინებების, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ბევრი კომიტეტი ნელა გარდაქმნიან თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ზოგჯერ გვერდს უვლიან საჭირბოროტო სამეურნეო და სოციალურ პრობლემებს, საკმარის გავლენას არ ახდენენ კანონების დარღვევათა თავიდან აცილებასა და იმ საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტაზე, რომლებზეც დამოკიდებულია წარმოების ეფექტიანობის ზრდა, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ხშირად ვლინდება ფორმალური მიდგომა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევების ფაქტების შეფასებისადმი, შემოწმებები ზერელე ხასიათისაა, ისინი იფარგლება მუშაობაში ხარვეზებისა და ჩავარდნების კონსტატაციით. გამოვლენილ ნაკლოვანებათა მიზეზებს არ აანალიზებენ, არ გამოაქვთ საჭირო დასკვნები, არ აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს საქმის გამოსწორების შესახებ. სახალხო კონტროლის კომიტეტები სუსტად ამოწმებენ, თუ როგორ არის დაყენებული უწყებრივი კონტროლი სახელმწიფო მართვის ორგანოებში. უზრუნველყოფილი არ არის სათანადო კონტროლი თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს კანონების დაცვისადმი, ურიგდებიან ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას მშრომელთა წერილებისადმი.

მთელ რიგ ადგილებში სახალხო დეპუტატთა საბჭოები ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევენ სახალხო კონტროლის ორგანოებს, ღრმად არ სწვდებიან მათს მუშაობას, ნაკლებ დახმარებას უწევენ მათ შემოწმებათა შედეგიანობის გაზრდაში.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი სათანადოდ არ წარმართავს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას, ყოველთვის არ ითვალისწინებს მათი მისამართით სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ გამოთქმულ წინადადებებსა და შენიშვნებს, განსაკუთრებით სახელმწიფო გეგმების შესრულებისადმი კონტროლის, სახალხო მეურნეობის რეზერვების გამოვლენის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, ბუნებრივი რესურსების დაცვის გაუმჯობესების შესახებ. სუსტად რაზმავენ ამ ამოცანების გადასაწყვეტად სახალხო კონტროლიორებს. ყოველივე ეს ამცირებს კონტროლის მასობრიობასა და ქმედითობას, არ იძლევა შესაძლებლობას ჩანასახშივე აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ მუშაობა, რომელსაც ადგილობრივი საბჭოები ეწევიან ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული სფეროს კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებისა და ეფექტიანობის გადიდებისათვის შესაბამის ტერიტორიაზე, სახალხო კონტროლის ყველა ორგანოსაგან მოითხოვს ყოველდღიურად და აქტიურად მონაწილეობდნენ ამ მნიშვნელოვან ამოცანათა პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVII ყრილობის მითითებებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის მტკიცე გარდაქმნის შესახებ, ბეჯითად უნდა გააძლიერონ პარტიის დირექტივების, საბჭოთა კანონებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების ფაქტობრივი შესრულების შემოწმებათა ქმედითობა, აღკვეთონ სახელმწიფო, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევები, მიაღწიონ მართვის აპარატის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლოვანებათა ოპერატიულ აღმოფხვრას. გაბედულად და პრინციპულად იმოქმედონ ყველა შემთხვევაში, როცა ზიანი ადგება სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს. გააფართოონ კონტროლის საჯაროობა.

2. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა:

უზრუნველყოს, რომ სახალხო კონტროლის თითოეული კომიტეტი, თითოეული ჯგუფი და საგუშაგო თავის საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მთლიანად იყენებდეს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას წარმოების ინტენსიფიკაციის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მიწოდებათა ვალდებულებების შესრულების კონკრეტულ ამოცანათა რეალიზაციაში, უყაირათობისა და სახალხო დოვლათის ყოველი ხელყოფის წინააღმდეგ, მუშაობის ყველა უბანზე წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღკვეთისათვის ბრძოლაში;

გააძლიეროს კონტროლი სასურსათო პროგრამის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელებისადმი, საბინაო მშენებლობისა და სოციალური სფეროს ობიექტების მშენებლობის გეგმის შესრულებისადმი, ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებისადმი;

გაზარდოს სახალხო კონტროლის როლი სახელმწიფო მართვის აპარატის ორგანიზაციასა და საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, რეგულარულად და ღრმად შეამოწმოს, თუ როგორ არის დაყენებული უწყებრივი კონტროლი, მიაღწიოს მისი ქმედითობის ზრდას, გააძლიეროს მომთხოვნელობა სამინისტროების, სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისადმი ამ მუშაობის მდგომარეობისათვის;

გაზარდოს მომთხოვნელობა ყველა თანამდებობის პირისადმი კანონმდებლობისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, პროტექციონიზმის, უმოქმედობისა და გულგრილობისათვის, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებისათვის.

3. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, სახალხო კონტროლის ყველა ორგანომ:

დღენიადაგ სრულყონ თავიანთი მუშაობის სტილი და მეთოდები, შექმნან მისი შედეგების თვითკრიტიკული შეფასების, დიდი ურთიერთმომთხოვნელობისა და პრინციპულობის ვითარება, გაზარდონ კომიტეტების წევრთა როლი და პასუხისმგებლობა; მიაღწიონ, რომ ყოველი შემოწმება ხელს უწყობდეს ნაკლოვანებათა გამოსწორებასა და თავიდან აცილებას, წამატებებისა და თვალის ახვევის, სახელმწიფოს მოტყუების ყოველი ცდის ამოძირკვას, დისციპლინის განმტკიცებას, საქმის სტაბილურ გაუმჯობესებას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას;

თანამიმდევრულად გააუმჯობესონ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა. გააქტიურონ თითოეული სახალხო კონტროლიორის მუშაობა, გააფართოონ მათი კავშირი დეპუტატთა ჯგუფებთან და საგუშაგოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სამართალდაცვითსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან. საქმე ისე მოაწყონ, რომ სახალხო კონტროლიორები სისტემატურად აბარებდნენ ანგარიშს შრომით კოლექტივებს;

უზრუნველყონ მოქალაქეთა მიმართვების ყურადღებიანი განხილვა და მათში ჩამოყალიბებული დარღვევებისა და ბოროტმოქმედების ფაქტების გამო ამომწურავ ღონისძიებათა მიღება, პრესის სიგნალებისა და მშრომელთა წერილების ოპერატიული გამოყენება კონტროლის შედეგიანობის გადიდების მიზნით;

აღზარდონ სახალხო კონტროლის ორგანოთა კადრები ყოველგვარი ნაკლისა და საბჭოთა კანონების დარღვევებისადმი შეურიგებლობის, მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულების, მაღალი ზნეობრივი სიწმინდის სულისკვეთებით. მიზანშეწონილად მიიჩნიონ რეგულარულად მოაწყონ კადრების ატესტაცია სახალხო კონტროლის ორგანოებში.

4. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გააძლიერონ ხელმძღვანელობა სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი მიღებული გადაწყვეტილებების, გეგმებისა და კანონების შესრულებისადმი კონტროლის ძირეული გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით, გააქტიურდეს მთელი საკონტროლო საქმიანობა. სისტემატურად და ღრმად გააანალიზონ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობა, დაეყრდნონ მათ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლში. რეგულარულად განიხილონ საბჭოების სესიებზე სახალხო კონტროლის კომიტეტების ანგარიშები. ყველაზე მნიშვნელოვან შემოწმებათა შედეგების მიხედვით განიხილონ მათი მოხსენებები და წინადადებები რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში, მინისტრთა საბჭოებსა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, პრინციპული რეაგირება მოახდინონ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. დაიცვან სახალხო კონტროლიორები ყოველგვარი შევიწროვებისაგან, უზრუნველყონ კანონით დადგენილი მათი უფლებების ყველა გარანტიის დაცვა, მკაცრად მოჰკითხონ თანამდებობის პირებს კრიტიკის ჩახშობისათვის, სახალხო კონტროლიორთა დევნისათვის.

5. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, გაერთიანებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ყოველნაირად შეუწყონ ხელი სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას, ოპერატიულად გამოიყენონ შემოწმებათა მასალები, საქმიანად გამოეხმაურონ ამ ორგანოთა მიერ დასმულ კითხვებსა და წინადადებებს, ამომწურავი ღონისძიებანი განახორციელონ ვითარების გამოსწორებისათვის, მკაცრად მოჰკითხონ ბრალეულთ ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის, წაახალისონ სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა, დაიცვან მათი უფლებები.

6. სსრ კავშირის პროკურატურამ უზრუნველყოს კანონების დარღვევების, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტებისაგან მიღებულ მასალათა დროული განხილვა და ამ მასალების გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად პრაქტიკაში შემოიღოს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მოთხოვნების დაცვის შემოწმება, განსაკუთრებით სახალხო კონტროლიორთა უფლებებისა და კანონიერი მოქმედების დაცვის საქმეში.

7. გაეგზავნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების თანამოხსენებასა და ამ სესიაზე სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის საკითხზე დეპუტატთა გამოსვლებში ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაზარდოს სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა უწყებრივი კონტროლის მდგომარეობისათვის, განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი მართვის სფეროში მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობისადმი შემდგომი სრულყოფისათვის, მათი მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებისათვის კონტროლის განხორციელებაში პარალელიზმისა და დუბლირების აღმოფხვრის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მისი ქმედითობის უზრუნველყოფის მიზნით.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ სახალხო კონტროლის ორგანოები, რომლებიც განუხრელად ასრულებენ სოციალისტური კონტროლის ლენინურ პრინციპებსა და ხელმძღვანელობენ პარტიისა და სახელმწიფოს დირექტივებით, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ ვ. მ. მიშინის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს დეპუტატი ვიქტორ მაქსიმეს ძე **მიშინი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ ვ. ი. მირონენკოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს დეპუტატი ვიქტორ ივანეს ძე **მირონენკო** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1986 წლის 27 აგვისტოსი — „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისათვის, დასახლებული პუნქტების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების საქმის მოწესრიგების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ“;

1986 წლის 15 სექტემბრისა — „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

1986 წლის 2 ოქტომბრისა — „ყოველწლიური დღესასწაულის „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დღის“ დაწესების შესახებ“;

1986 წლის 14 ოქტომბრისა — „არასრულწლოვანი ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტების გადახდევინების წესის ერთგვარი შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. პ. ბატალინის სსრ კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 19 აგვისტოს ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. იური პეტრეს ძე **ბატალინის** სსრ კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ვ. მ. კამენცევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოვალეობიდან მისი განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებანი ამხ. ვლადიმერ მიხეილის ძე **კამენცევის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„ამხ. ი. ვ. არხიპოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებულება ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ივანე ვასილის ძე **არხიპოვის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„ამხ. გ. ი. მარჩუკის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულება სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. გური ივანეს ძე **მარჩუკის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ

სსრ კავშირში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა გამოიყენება იმისათვის, რომ სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი საქონელსა და მომსახურებაზე, იზრდებოდეს მოქალაქეთა დასაქმება საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობით, მიენიჭოთ მათ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი შემოსავალი გაწეული შრომის დანახარჯის შესაბამისად.

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ კანონის შესაბამისად სსრ კავშირში დაშვებულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. სახელმწიფო არეგულირებს ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას, უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა — ეს არის მოქალაქეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა საქონლის საწარმოებლად და ფასიანი მომსახურების გასაწევად, რომელიც არ არის დაკავშირებული მათს შრომით ურთიერთობასთან სახელმწიფო, კოოპერაციულ, სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან, აგრეთვე შინასაკოლმეურნეო შრომით ურთიერთობასთან.

სახელმწიფო ახალისებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა ჩაბმას სახელშეკრულებო ურთიერთობაში სახელმწიფო, კოოპერაციულ, სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ამ მოქალაქეთა კანონმდებლობით დადგენილი წესით გაერთიანებას კოოპერატივებში, ნებაყოფლობითს საზოგადოებებში, ამხანაგობებში.

არ დაიშვება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა დაქირავებული შრომის მოზიდვით, უშრომელი შემოსავლის შოვნის მიზნით ან სხვა საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 2. კანონმდებლობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ

მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არეგულირებს ეს კანონი და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტები.

ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მოქალაქეთა შემოქმედებითს საქმიანობაზე მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, აგრეთვე ერთჯერადი ხასიათის მატარებელი ფასიანი სამუშაოებისა და მოცულობის და შრომის ანაზღაურების მიხედვით უმნიშვნელო სამუშაოთა შესრულებაზე.

მუხლი 3. იმ მოქალაქეთა კატეგორიები, რომლებსაც ნებადართული აქვთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება ენიჭებათ სრულწლოვან მოქალაქეებს, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში, ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, დიასახლისებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მიხედვით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასეთ საქმიანობას შეუძლია მისდიონ აგრეთვე სხვა მოქალაქეებმა, რომლებიც არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ წარმოებაში.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელება შეუძლიათ მოქალაქეებს მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების (მეუღლის, მშობლებისა და 16 წლის ასაკს მიღწეული სხვა ნათესავებისა და კმაყოფაზე მყოფი პირების) მონაწილეობით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ნება დართონ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით მოქალაქეებს, რომლებიც დიდად არიან დაოსტატებულნი იშვიათ მხატვრულ ნაკეთობათა დამზადებაში, ასწავლონ სხვა მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სამისო მიდრეკილება და მოწოდება. ასეთი სწავლების დებულებას ამტკიცებს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 4. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის გამოსაყენებელი ქონება

მოქალაქენი ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში იყენებენ იმ მასალა-ნედლეულს, იარაღებსა და სხვა ქონებას, რომლებიც მათ ეკუთვნით პირადი საკუთრების ან შემკვეთის მიერ გადაცემულის უფლებით, აგრეთვე ქონებას, რომელიც მათ მიღებული აქვთ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ან მოქალაქეებთან ქონებრივი ქირავნობის ხელშეკრულებებით.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარი პირნი იძენენ მათთვის საჭირო მასალა-ნედლეულს, იარაღებსა და სხვა ქონებას სახელმწიფო, კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელებსა და ბაზრებში, აგრეთვე იყენებენ დადგენილი წესების შესაბამისად ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც სჭირდებათ ამ საქმიანობისათვის.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ამ პირთ შეუძლიათ შეიძინონ ზედმეტი და გამოუყენებელი მასალები და სხვა ქონება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან.

მუხლი 5. იმ მოქალაქეთა ხელშეწყობა, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას მისდევენ

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმო-დაწესებულებანი და ორგანიზაციები შესაბამის საქონელსა და მომსახურებაზე თავიანთი ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს ხელს უწყობენ მასალა-ნედლეულის, იარაღებისა და ამ საქმიანობისათვის საჭირო სხვა ქონების შეძენაში, წარმოებული პროდუქციის გასაღებაში, შეუძლიათ გამოუყონ მათ დადგენილი წესით არასაცხოვრებელი სათავსები და სხვა ქონება იჯარით, აგრეთვე მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია. უპირატესად, ასეთ დახმარებას უწევენ მოქალაქეებს, რომლებსაც დადებული აქვთ ხელშეკრულებანი საწარმო-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე დაქვეითებული შრომისუნარიანობის მქონე ან ისეთ მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან შორეულ ან ძნელადმისადგომ რაიონებში.

სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი და მისი ტერიტორიული ორგანოები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფენ მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას მისდევენ.

საჭირო მასალა-ნედლეულის, იარაღებისა და სხვა ქონების შესაძენად, აგრეთვე იჯარით ან გაქირავებით მისაღებად მოქალაქეებს, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას მისდევენ, შეიძლება მიეცეთ კრედიტი დადგენილი წესით.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ინვალიდებს, ქრონიკულად დაავადებულ და სხვა პირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება მიეცეთ შეღავათი ამ საქმიანობის განსახორციელებლად (არასაცხოვრებელი სათავსების იჯარით აღების, სათანადო ქონების შეღავათიანი პირობებით შეძენის უპირატესი უფლება და ა. შ.).

მუხლი 6. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვა

მოქალაქენი, რომლებიც გამოთქვამენ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სურვილს, მოვალენი არიან მიიღონ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვა თავიანთი მუდმივი ბინადრობის ადგილის მიხედვით. ნებართვის მოქმედების ვადას განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ განსაზღვრონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი, რომლებზეც არ არის საჭირო ნებართვის მიღება. ამის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობება მოსახლეობას.

მუხლი. 7. სარეგისტრაციო მოწმობა, პატენტი

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის დაწყებამდე მოქალაქეებმა უნდა მიიღონ სარეგისტრაციო მოწმობა ან შეიძინონ პატენტი სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებაში.

საქმიანობის სახეობებს, რომლებზეც მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ პატენტები, და პატენტის ყოველწლიური საზღაურის ოდენობას ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

სარეგისტრაციო მოწმობისა და პატენტის გაცემისათვის დადგენილი წესით გადახდევინებულ იქნება სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 8. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა მოვალეობანი.

მოქალაქენი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას მისდევენ, მოვალენი არიან დაიცვან ამ საქმიანობის განხორციელების დადგენილი წესი, მყიდველთა, შემკვეთთა და სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, უზრუნველყონ გამოსაშვები საქონლისა და გასაწევი მომსახურების სათანადო ხარისხი, დაიცვან სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო წესები და ნორმები, აგრეთვე სხვა წესები, რომლებიც კონკრეტული სახეობის საქმიანობას ეხება.

ისეთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარი მოქალაქენი, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება, მოვალენი არიან აღრიცხონ ამ საქმიანობის მთელი შემოსავალ-გასავალი და სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებას თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარუდგინონ დეკლარაცია მიღებული შემოსავლის შესახებ.

მუხლი 9. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა შემოსავლის დაბეგვრა

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარი მოქალაქენი სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით იხდიან ამ საქმიანობით მიღებული შემოსავლის გადასახადს. გადასახადის ოდენობა წესდება მიღებული შემოსავლის თანხის კვალობაზე და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლების პატენტები, თავისუფლდებიან მოცემული სახეობის საქმიანობით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან.

მუხლი 10. პატენტის სასყიდელი

პატენტის სასყიდელი განისაზღვრება იმ პირთა საშუალო წლიური შემოსავლის კვალობაზე, რომლებიც ანალოგიურ საქმიანობას ეწევიან სახელმწიფო, კოოპერაციულ, სხვა საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ან იმ პირთა საშუალო წლიური შემოსავლის მიხედვით, რომლებიც ანალოგიურ სამუშაოს ასრულებენ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით უპატენტოდ, და მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი განაკვეთების კვალობაზე. აღნიშნული სასყიდლის თანხა ჩაირიცხება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში იმ წესით, რომელიც დადგენილია მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის ჩასარიცხად.

II. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში

მუხლი 11. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელება შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში

შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში ინდივიდუალურ შრომით საქმიანობად ითვლება ნაწარმის სარეალიზაციოდ დამზადება.

შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების ნაკეთობათა რეალიზაცია შეიძლება წარმოებდეს დადგენილი წესის შესაბამისად, როგორც ნაკეთობათა დამზადების ადგილის მიხედვით, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებში სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების დაცვით.

მუხლი 12. შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში დაშვებული საქმიანობის სახეობანი

შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში დაშვებულია დამზადდეს:

1) ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსამკაული, ბეწვეულის, შეკერილი და საგალანტერეო ნაწარმი;
2) ნართი, ქსოვილები, ნაქსოვი და ნაქარგი;
3) ავეჯი, სხვა სადურგლო ნაკეთობანი;
4) ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი;
5) თუნისა და კერამიკული ნაკეთობანი;
6) სათამაშოები და სუვენირები;
7) საოჯახო ნივთები, ბაღ-ბოსტნის ინვენტარის საგნებო;
8) სათევზაო აღჭურვილობა (ისეთი აღჭურვილობის გარდა, რომლის გამოყენებაც აკრძალულია);
9) ხის, ქაღალდის, ძვლის, ლელის, ვაზის, ბზის, ლერწმისა და სხვა მასალების ნაკეთობანი.

დაშვებულია აგრეთვე შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სხვა სახეობანი, თუ ისინი არ არის აკრძალული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 13. შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროს საქმიანობის სახეობანი, რომელთა განხორციელებაც აკრძალულია

შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების სფეროში აკრძალულია დამზადდეს:

1) მონადირებული და სახელმწიფოსათვის სავალდებულოდ ჩასაბარებელი ძვირფასბეწვიანი ნადირის ბეწვეულის ნაწარმი, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო დამღა (შტამპი), აგრეთვე ხორცის მჭამელი ბეწვიანი ნადირის ბეწვეულის ნაწარმი, რომლის ყოლაც მოქალაქეებს ეკრძალებათ;
2) ქიმიური და პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმი;
3) შხამიანი და ნარკოტიკული ნივთიერებანი, აგრეთვე სამკურნალწამლო საშუალებანი;
4) ძვირფასი ლითონების, პატიოსანი თვლებისა და ქარვის ნაკეთობანი ან ასეთი მასალების გამოყენებით დამზადებული ნაკეთობანი;
5) ყოველგვარი იარაღი, ტყვია-წამალი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და პიროტექნიკური ნაწარმი;
6) სამრავლებელი და პირგადასაღები აპარატები, შტამპები, შტემპელები, ბეჭდები, შრიფტები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება აიკრძალოს აგრეთვე სხვა სახეობათა შინამრეწველურ-ხელოსნურ სარეწებში საქმიანობა, თუ ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

III. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში

მუხლი 14. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობად ითვლება მოსახლეობისათვის ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა.

ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა ხორციელდება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 15. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დაშვებული მომსახურების სახეობანი

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დაიშვება:

1) საცხოვრებელი ბინების, საბაღე სახლების, გარაჟებისა და სხვა ნაგებობათა აშენება, შეკეთება, აღჭურვა და კეთილმოწყობა;
2) მომსახურების გაწევა მოქალაქეებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების კეთილმოსაწყობად;
3) პირუტყვის ძოვება;
4) პირადი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება;
5) ლითონის ნაკეთობების, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების, რადიოსატელევიზიო აპარატურის შეკეთება;
6) ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსამკაულის, ბეწვეულის, შეკერილი და საგალანტერეო ნაწარმის შეკეთება;
7) ავეჯის, სხვა სადურგლო ნაწარმის, ბაღ-ბოსტნის ინვენტარის შეკეთება;
8) ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის შეკეთება;
9) ფოტოგრაფირება და მოქალაქეთა შეკვეთილი სხვა ფოტოსამუშაოები;
10) საპარიკმახერო, აგრეთვე კოსმეტიკური მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული სამკურნალო ან ქირურგიულ საქმიანობასთან;
11) სტენოგრაფიული, მანქანაზე საბეჭდი და საამკინძაო სამუშაოები;
12) მოქალაქეთა სატრანსპორტო მომსახურება პირადი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა მიერ;
13) მარტოხელა მოხუცი, ინვალიდი და სხვა შრომისუუნარო მოქალაქეების მომსახურება;
14) ტურისტების, ექსკურსანტებისა და სხვა მოქალაქეების პანსიონური მომსახურება საწარმო-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებით (დაბინავება, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა. შ.).

დაშვებულია აგრეთვე სხვა სახეობათა მომსახურება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, თუ მათი გაწევა არ არის აკრძალული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 16. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში იმ მომსახურების სახეობანი, რომლის გაწევაც აკრძალულია

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში აკრძალულია:

1) ძვირფასი ლითონების, პატიოსანი თვლებისა და ქარვის ნაკეთობათა ან ასეთი მასალების გამოყენებით დამზადებულ ნაკეთობათა შეკეთება-გადაკეთება;
2) სამორინეების, ატრაქციონების, აბანების შენახვა, აზარტული თამაშების ორგანიზაცია, სპორტულ და სხვა შეჯიბრებებზე ფსონის მიღება;
3) ყოველგვარი იარაღის შეკეთება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება აიკრძალოს სხვა სახეობათა მომსახურების გაწევა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, თუკი ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

IV. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა სოციალურ-კულტურულ სფეროში

მუხლი 17. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელება სოციალურ-კულტურულ სფეროში

სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობად ითვლება ფასიანი სოციალურ-კულტურული მომსახურების გაწევა.

ისეთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლება, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული პროფესიებისა და ჩვევების სწავლებასთან, აგრეთვე რომლებიც მოითხოვენ სამედიცინო, პედაგოგიურ და სხვა სპეციალურ ცოდნას, ენიჭებათ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საჭირო მომზადება, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — შესაბამისი განათლებაც.

ფასიანი სოციალურ-კულტურული მომსახურების გასაწევად ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა ხორციელდება სამოქალაქო და სხვა დარგების კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 18. სოციალურ-კულტურულ სფეროში დაშვებული მომსახურების სახეობანი

სოციალურ-კულტურულ სფეროში დაშვებულია:

1) ჭრა-კერვისა და ქსოვის სწავლება;
2) მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრის, ქორეოგრაფიის სწავლება;
3) სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის სწავლება;
4) მეცადინეობის მოწყობა რეპეტიტორობის წესით;
5) ტექსტების თარგმნა უცხო ენებიდან, აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან;
6) სამედიცინო საქმიანობა.

დაშვებულია აგრეთვე სხვა სახეობათა სოციალურ-კულტურული მომსახურება, თუ მათი გაწევა არ არის აკრძალული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 19. სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი, რომელთა განხორციელებაც აკრძალულია

სოციალურ-კულტურულ სფეროში მოქალაქეებს ეკრძალებათ:

1) სამედიცინო საქმიანობა ცალკეულ სპეციალობებში, რომლებიც განისაზღვრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად;
2) მეცადინეობის მოწყობა იმ საგნებისა და კურსების მიხედვით, რომლებიც არ შედის სსრ კავშირის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში;
3) სანახაობრივ ღონისძიებათა ორგანიზაცია.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება აკრძალული იყოს სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვა სახეობებიც, თუკი ეს ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

V. სხვა სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა

მუხლი 20. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელება ხალხური მხატვრული სარეწების სფეროში

ხალხური მხატვრული სარეწების სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, ანუ ტრადიციული ხალხური, აგრეთვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობათა სარეალიზაციოდ შექმნა ხორციელდება შესაბამისი სამხატვრო საბჭოს ნებართვით და ამ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების დაცვით.

სახელმწიფო ახალისებს ხალხური მხატვრული სარეწების განვითარებას.

მუხლი 21. ამ კანონით გაუთვალისწინებელ ცალკეულ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განხორციელება

ამ კანონით გაუთვალისწინებელ ცალკეულ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის (ბეწვეულის, საქურქე ნედლეულის, გარეული ცხოველების ხორცის მოპოვება, ველური პროდუქციის შეგროვება და სხვ.) განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არეგულირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

VI. კონტროლი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისადმი, პასუხისმგებლობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 22. კონტროლი მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დაცვისადმი

მოქალაქეთა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას კონტროლს უწევენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საფინანსო და შინაგან საქმეთა ორგანოები მოვალენი არიან გამოავლინონ მოქალაქენი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან დადგენილი წესის დარღვევით, ან ეწევიან აკრძალულ სახეობათა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას.

მუხლი 23. პასუხისმგებლობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კანონმდებლობის დარღვევისათვის

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა ან ისეთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომლის თაობაზეც არის სპეციალური აკრძალვა, იწვევს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დამრღვევ პირებს შეიძლება აეკრძალოთ ასეთი საქმიანობა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ნებართვის გამცემი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამასთან დამრღვევს ჩამოერთმევა სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვა შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესით.

აკრძალული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის, აგრეთვე სათანადო ნებართვის უქონლად განხორციელებული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შედეგად მოქალაქეთა მიერ მიღებული მთელი შემოსავალი უნდა გადაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

„ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ 1987 წლის 1 მაისიდან.
2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“.
3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის კანონს „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“.
4. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1986 წლის 23 ივნისისა — სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. თევდორე ივანეს ძე **ლოშჩენკოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 14 ივლისისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ბორის ვლადიმერის ძე **ბალმონტის** განთავისუფლების შესახებ.

1986 წლის 14 ივლისისა — სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრად ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **პანიჩევის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 18 ივლისისა — სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ევგენი ვლადიმერის ძე **კულოვის** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 18 ივლისისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. გენადი პეტრეს ძე **ვორონოვსკის** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 18 ივლისისა — სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრად ამხ. ოლეგ გიორგის ძე **ანფიმოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 21 ივლისისა — სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის მინისტრად ამხ. ნიკოლოზ თევდორეს ძე **ლუკონინის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 15 აგვისტოსი — სსრ კავშირის კულტურის მინისტრად ამხ. ვასილ გიორგის ძე **ზახაროვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 15 აგვისტოსი — სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის ძე **ლისტოვის** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 15 აგვისტოსი — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრად ამხ. იური ალექსანდრეს ძე **ბესპალოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 18 აგვისტოსი — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნიკოლოზ ტიმოთეს ძე **გლუშკოვის** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 18 აგვისტოსი — სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ვალენტინ სერგის ძე **პავლოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 25 აგვისტოსი — მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ლეონიდ ალექსის ძე **ბიბინის** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 2 სექტემბრისა — სსრ კავშირის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში მშენებლობის მინისტრად ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **რეშეტილოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 2 სექტემბრისა — სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში მშენებლობის მინისტრად ამხ. არკადი ნიკოლოზის ძე **შჩეპეტილნიკოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 2 სექტემბრისა — სსრ კავშირის ურალისა და დასავლეთ ციმბირის რაიონებში მშენებლობის მინისტრად ამხ. სერგი ვასილის ძე **ბაშილოვის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 3 სექტემბრისა — სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ვადიმ მიხეილის ძე **მალიშევის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 6 სექტემბრისა — სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების მინისტრად ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე **ოლშანსკის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 27 სექტემბრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ტიმოთე ბორისის ძე **გუჟენკოს** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 18 ოქტომბრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ვიქტორ ნიკოლოზის ძე **პოლიაკოვის** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 24 ოქტომბრისა — სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრად ამხ. ნიკოლოზ ანდრიას ძე **პუგინის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 24 ოქტომბრისა — სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრად ამხ. იური მიხეილის ძე **ვოლმერის** დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 31 ოქტომბრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. პეტრე თადეოზის ძე **ლომაკოს** განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 31 ოქტომბრისა — სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრად ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **დურასოვის** დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ნოემბერი.

„კომუნისტი“
საკუთარი
ინფორმაცია

ახალი ამბები

● **სარაკეტო** ჯარებისა და [illegible] მიეძღვნა 18 [illegible] წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლში გამართული საზეიმო კრება.

მოხსენება სამშობლოს დამცველთა საბრძოლო გზის, მერაკეტეებისა და არტილერისტების დღევანდელი დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის სარდალმა, გენერალ-მაიორმა ა. მ. კალინინმა.

● **გამოჩენილი** სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის ინდირა განდის დაბადების 69 წლისთავი 19 ნოემბერს აღნიშნეს მოსკოვში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

● **თბილისში** მხატვრის სახლში გაიხსნა საქართველოს მხატვრების საშემოდგომო გამოფენა. იგი გასტანს სამ კვირას. გამოფენაზე ჭარბობს ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები.

● **საკვებწარმოების** ზრდის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და მიწათმოქმედებს მოსწონთ გამოფენა, რომელიც საქსახაგრომრეწვის მელიორაციული მიწათმოქმედების წნორის სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიაში მოეწყო.

აქ წარმოდგენილია სორგო-სუდანურას, მიწისვაშლა-მზესუმზირას, დოლიხურის, ხვიარასა და სხვა მცენარეთა 20-მდე ჰიბრიდი, მრავალტაროიანი სიმინდის ჯიში და სხვ.

ამ დღეებში გამოფენა სიღნაღში გადაინაცვლებს.

● **რესტორან** „არაგვში“ ძველი ქართული ვეგეტარიანული კერძები სხვა გემრიელ საჭმელთან ერთად შესთავაზეს საზოგადოებრივი კვების ახალგაზრდა სპეციალისტთა და რესპუბლიკური კონკურსის მონაწილეებმა მომთხოვნი ჟიურის წევრებს. ეს კონკურსი მოაწყვეს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მიეკუთვნათ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზკვების სამმართველოს წარმომადგენლებს.

ანალოგიური საკავშირო კონკურსი გაისად მოსკოვში გაიმართება.

● **რესპუბლიკაში** საინტერესო მოგზაურობის ოცზე მეტი პროგრამა შეადგინა საზღვარგარეთელი სტუმრებისათვის საქართველოს სსრ ინტურისტმა. მათ შეუძლიათ გაიმეორონ არგონავტების მარშრუტი, ჩავიდნენ სათაფლიის გამოქვაბულის მიწისქვეშა დარბაზებში ან ახალი ათონის მსოფლიოში უდიდეს კარსტულ მღვიმეში, მიიღონ ქართული ცეკვისა და სიმღერის გაკვეთილები, გასინჯონ განთქმული ქართული კერძები, მიიღონ მათი მომზადების რეცეპტები.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი საექსკურსიო მარშრუტები, რესპუბლიკაში ტურიზმის ობიექტების განვითარების პერსპექტივები გააცნეს თბილისში მიმდინარე საერთაშორისო სემინარის მსმენელებს, რომელშიც მონაწილეობდა იაპონიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების — ტაილანდის, სინგაპურის, ფილიპინების, მალაიზიისა და სიანგანის საზღვარგარეთული ტურისტული ფირმების 65 წარმომადგენელი. განიხილეს სსრ კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის ტურისტული გაცვლის გააქტიურების პერსპექტივები.

საერთაშორისო სემინარის მონაწილეები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.

● **საქართველოს** საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საზოგადოებაში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და სახელმწიფო სურათების გალერეის თაოსნობით გაიხსნა მხატვარ დარეჯან ბერიძის გამოფენა.

● **სოხუმში** გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მონაწილეებმა — წამყვანმა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა სპეციალისტებმა დასახეს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში შემდგომი თანამშრომლობის პროგრამა. სიმპოზიუმზე დიდი შეფასება მიეცა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მუშაობას.

● **საქართველოში** ყოფნისას, დავრწმუნდით, რომ აქ ყველა პირობაა შექმნილი ფსიქოთერაპიის სამსახურის ფართო განვითარებისათვის. კერძოდ, ამ მიმართულებით მუშაობის სოლიდური გამოცდილებაა დაგროვილი ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ფსიქოთერაპიისა და ნარკოლოგიის კათედრის გამგემ, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა ფსიქოთერაპევტმა პროფესორმა ვ. ე. როჟნოვმა. იგი მეთაურობდა წამყვან სპეციალისტ-ფსიქოთერაპევტთა ჯგუფს, რომლებმაც ლექციები წაუკითხა ფსიქოთერაპიის კაბინეტების მუშაკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მამულიშვილი

(დასასრული)

ლომონოსოვის ფილოსოფიური და ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული წარმოდგენების თეორიული საფუძველი გახდა მის მიერ აღმოჩენილი შენახვის ზოგადი კანონი, რომელიც ეხება მატერიასაც და მოძრაობასაც და რომელიც შემდეგ თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

ლომონოსოვის გასაოცარი თვისებაა მისი ყოვლისმომცველი ენციკლოპედიზმი. მაგრამ ეს მარტო ფართო ერუდიცია კი არა, ცოდნის სინთეზური სისტემა, იდეებისა და მოქმედების შედუღაბებული ორგანული მთლიანობაა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ატომებზე დამყარებული ფილოსოფიის მეთოდით შეიძლება აიხსნას საგნების წარმოშობა, ნივთიერებათა გარდაქმნა, ვარსკვლავებისა და სხვა ციური სხეულების წარმოშობა.

დღეს, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ჩვენ განსაკუთრებით თვალნათლივ ვხედავთ, თუ რაოდენ შორსმჭვრეტელური აღმოჩნდა ლომონოსოვის იდეები მეცნიერების წამყვანი როლისა და პრაქტიკასთან მისი ერთიანობის, ხალხის განათლების საჭიროების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე, ვ. ი. ლენინის მოწოდებით, კვლევითი სამუშაოების მისეული გეგმის საფუძველზე მეცნიერები აქტიურად ჩაებნენ ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებისათვის, ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრი განვითარებისათვის ბრძოლაში. ჩამორჩენილი და ომებით გაჩანაგებული რუსეთი მეცნიერებისა და შრომის კავშირის მეოხებით გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, სრული წიგნიერებისა და სავალდებულო საშუალო განათლების ქვეყანად, რომელსაც ხუთი მილიონი სტუდენტი ჰყავს. „ვრცელ ციმბირს", რომელზეც მეცნიერი უდიდეს იმედებს ამყარებდა, ახლა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მძლავრი განყოფილებები აქვს.

განხორციელდა აგრეთვე მ. ვ. ლომონოსოვის გაბედული ჩანაფიქრები ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების შესახებ.

ჩვენი დიდი თანამემამულე ამავე დროს მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. მას, მხურვალე პატრიოტს, მგზნებარედ სურდა მშვიდობა და ხალხთა შორის თანამშრომლობა. ლომონოსოვს მშვიდობა ხალხების კეთილდღეობის, განათლებისა და მეცნიერების გავრცელების პირობად მიაჩნდა.

სამამულო მეცნიერების ფუძემდებლის, რუსი ხალხის დიდი შვილის საამაყო სახელი ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. ლომონოსოვის მეცნიერული გმირობა შთააგონებს ჩვენი ეპოქის მეცნიერებს თავდადებული შრომისათვის, საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ახალი წარმატებების მიღწევისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს პროგრესის ყოველმხრივ დაჩქარებას რომ ემსახურება.

მოხსენება „მ. ვ. ლომონოსოვი — სამამულო მეცნიერების ფუძემდებელი" გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **კ. ვ. ფროლოვმა.** დიდი რუსი მეცნიერის ცხოვრებამ და შემოქმედებამ, თქვა მან, რუსული და მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მთელი ეპოქა შეადგინა.

1741 წელს 30 წლის ლომონოსოვი ამთავრებს სწავლას და იწყებს მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც აღინიშნა მრავალი მეცნიერული აღმოჩენითა და შესანიშნავი გამოკვლევით ბუნებისმეტყველების და ტექნიკის დარგში, საყურადღებო ისტორიული და ლიტერატურული შრომებით. ლომონოსოვი მტკიცედ და მიზანმიმართულად იბრძოდა მეცნიერებაში მატერიალისტური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მან სცადა შექმნა სამყაროს ერთიანი მატერიალისტური სურათი, რომელიც მთლიანად ემყარებოდა მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველების დასკვნებს, ბუნების შემსწავლელ მეცნიერებათა მთელ კომპლექსს. მისი მეცნიერული შემოქმედება გამსჭვალულია სამყაროსა და ბუნების ყველა მოვლენის უთუო შეცნობადობის იდეით.

ლომონოსოვი მეცნიერებას მიიჩნევდა თეორიისა და პრაქტიკის განუყრელ ერთიანობად, მისი აზრით, შემეცნების პროცესი იყო თვით ბუნებისაგან „სიმართლის შეტყობა". მეცნიერი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცდას როგორც ჭეშმარიტების დადგენის საიმედო საშუალებას. მ. ვ. ლომონოსოვის შემოქმედებით მეთოდს, რომელიც XVIII საუკუნის მეცნიერებისათვის თეორიისა და გამოცდილების არნახულ ჰარმონიას ითვალისწინებდა, თავისი მნიშვნელობა არც დღეს დაუკარგავს.

ლომონოსოვის ყველაზე საყვარელი მეცნიერებანი, რომელთა განვითარებაშიც მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა, იყო ფიზიკა და ქიმია. ფიზიკის დარგში ლომონოსოვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები ეხება მოძღვრებას სითბოს, სინათლისა და ელექტრობის შესახებ. მან წინასწარმეტყველურად უწოდა თავის ერთ-ერთ ნაშრომში ელექტრულ ცდებს „კაცობრიობის კეთილდღეობის დიდი იმედი".

მეცნიერი იკვლევდა და ამკვიდრებდა მექანიკისა და აკუსტიკის, ასტრონომიისა და ოპტიკის კანონებს. მან შექმნა ბევრი ხელსაწყო ექსპერიმენტული კვლევისათვის. დაკვირვებების შედეგად მან მოახდინა შესანიშნავი აღმოჩენა, რომელმაც დაამტკიცა, რომ „პლანეტა ვენერას გარს არტყია შესამჩნევი ატმოსფერო". ზუსტად 200 წლის შემდეგ საბჭოთა ასტროფიზიკოსებმა დაამტკიცეს ეს აღმოჩენა, განსაზღვრეს რა რადიოლოკაციის დახმარებით ვენერას ძირითადი ფიზიკური პარამეტრები. 1967 წლიდან კი ხორციელდება ამ შორეული პლანეტისაკენ საბჭოთა ავტომატური სადგურების რეგულარული კოსმოსური რეისები.

როგორც მექანიკოსმა და ნიჭიერმა კონსტრუქტორმა, ლომონოსოვმა წამოაყენა მრავალრიცხოვანი ორიგინალური გადაწყვეტები სხვადასხვაგვარი მანქანა-მექანიზმების — წყალმწევების, მფრინავი აპარატის — „აეროდრომული მანქანის", მეხის განმუხტვის შემსწავლელი მანქანისა და მრავალი სხვა კონსტრუქციის შექმნის დარგში. გენიალური რუსი მეცნიერი — უამრავი შესანიშნავი ხელსაწყოს გამომგონებელი — სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ სამამულო ხელსაწყოთმშენებლობის ფუძემდებლად.

მნიშვნელოვანია ლომონოსოვის წვლილი ქიმიური კვლევის განვითარებაში. ქიმიის, ისევე როგორც მთელი პროგრესული მეცნიერების საბოლოო მიზნად მას მიაჩნია „ცხოვრების სიკეთეთა გამრავლება". განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცა ქიმიის დარგში ლომონოსოვის კვლევას მას შემდეგ, რაც 1748 წელს მან შექმნა მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ლაბორატორია, რომელიც მსოფლიოს პირველ სამეცნიერო-კვლევით ცენტრად შეიძლება მივიჩნიოთ. მან შეასრულა საფუძვლიანი ნამუშევრები მინერალოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიისა და მთელ რიგ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში, განმარტა კონტინენტების, მთებისა და ოკეანეების შექმნის პროცესები, ლითონის მადნებისა და საწვავი წიაღისეულის — ქვანახშირისა და ნავთობის, ტორფისა და ფიქლის წარმოშობა.

ლომონოსოვის თანამედროვენი, სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი დიდად აფასებდნენ ლომონოსოვის წვლილს მეცნიერებაში, პოეზიასა და ხელოვნებაში. 1760 წელს იგი აირჩიეს შვეციის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, შემდეგ — პეტერბურგის სამხატვრო აკადემიისა და ბოლონიის აკადემიის (იტალია) საპატიო წევრად. მისმა ნამუშევრებმა ფ. ენგელსის ინტერესი გამოიწვია.

მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი ოცნებობდა, რომ მნიშვნელოვან მეცნიერებათა ოქროს ხანა აღედგინათ. ეს ოცნება, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, აქტუალურია დღესაც, როდესაც პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ფუნდამენტურ მეცნიერებათა უპირატეს განვითარებას. სწორედ ახლა ჩვენს ქვეყანაში ენერგიულად, აღლებურად დგება საზოგადოების განვითარებაში მეცნიერების რეალური წვლილის გადიდების საკითხები. სკკპ XXVII ყრილობის იმ კურსის რეალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს დაჩქარებას, გარდაქმნას, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევას, მოითხოვს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის უფრო ეფექტიანი ფორმების ძიებასა და განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს ახალ ამოცანებს უსახავს უახლეს სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების დამუშავებისა და ფართო მასშტაბის დანერგვის დარგში.

მ. ვ. ლომონოსოვი მუდამ „ჭკვიანური თვალით" უყურებდა გარემოსთან ადამიანის ურთიერთობას, ბუნებრივ სიმდიდრეთა და ადამიანის გონების ნაყოფის გამოყენების პრობლემას. მაგრამ თანამედროვე პირობებში, როგორც ცნობილია, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები შეიძლება არნახულად გამანადგურებელ ძალადაც იქცნენ. განსაკუთრებით მწვავედ დადგა ახლა მსოფლიოს მეცნიერთა წინაშე უაქტუალურესი ამოცანა — იხსნან კაცობრიობა ბირთვული ომისაგან, რომლისკენაც მას უბიძგებენ მსოფლიო რეაქციის ძალები. რუსული მეცნიერების ფუძემდებელი მ. ვ. ლომონოსოვი იყო ხალხთა შორის მშვიდობისა და თანხმობის მგზნებარე ქომაგი, სახელმწიფოთა აყვავებისა და კეთილდღეობის წყაროდ მუდამ მხოლოდ მშვიდობიანი პირობები მიაჩნდა.

მკაფიო, პრინციპულმა, თანამიმდევრულმა და ლოგიკურად დასაბუთებულმა პოზიციამ საბჭოთა კავშირისამ, რომელმაც მაქსიმალური კეთილი ნება ჩააქსოვა თავის სამშვიდობო წინადადებებში საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე, მთელ კაცობრიობას უჩვენა ჩვენი პრინციპული დამოკიდებულება ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების პრობლემისადმი.

ამ კეთილშობილური და ჰუმანური მიზნის მიღწევა მეცნიერებისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და აყვავების საკეთილდღეოდ მისი გამოყენებისათვის დიდი მებრძოლის საუკეთესო ძეგლი იქნება. იგი დღესაც აღაფრთოვანებს ჩვენს მეცნიერებს თავდადებული შრომისათვის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში ახალ მიღწევებისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, სოციალიზმის აღმშენებლობითი შესაძლებლობების ყველაზე სრული რეალიზაციისათვის!

გამოჩენილი მეცნიერი და მოაზროვნე, მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი, ბელინსკის თქმით, იყო „დიადი ხასიათი, მოვლენა, რომელიც სასიქადულოა ადამიანის ბუნებისა და რუსული სახელისათვის", ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში სკკპ არხანგელსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მ. ტელეპნიოვმა.** ლომონოსოვის ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად იყო დაკავშირებული არხანგელსკის ჩრდილოეთთან. აქ, ხოლმოგორელი ზღვისპირეთელი გლეხის ოჯახში ისწავლა მან წერა-კითხვა, გაიარა პირველი ცხოვრებისეული წრთობა, თავისუფალი აზროვნებისა და შრომისმოყვარეობის სკოლა. ხალხის წიაღიდან გამოსული, იგი მუდამ ამაყობდა თავისი ზღვისპირეთული წარმოშობით, მუდამ ნამდვილი მაშვრალი იყო.

ხალხის უფართოეს მასებში უთვალსაჩინოესი მეცნიერის ავტორიტეტი ყოველთვის ძალიან დიდი იყო. დიდი კმაყოფილებით ვხედავთ, რომ „ვერაფერი ვერ დაფარავს ხალხის გზას" ჩვენი შესანიშნავი თანამემამულის სამშობლოსაკენ. საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებს პატივად მიაჩნიათ ყოველწლიურად ლომონოსოვის კითხვებზე ჩამოვიდნენ არხანგელსკში, თავიანთი შრომის შესახებ ანგარიში ჩააბარონ დიდი მეცნიერის თანამემამულეებს.

დღეს არხანგელსკის ოლქი მრავალდარგიანი, დინამიკურად განვითარებადი კომპლექსია. სამეცნიერო დაწესებულებებში წარმატებით მიმდინარეობს კოსმოსური და გეოფიზიკური კვლევა, სწავლობენ ჩრდილოეთის ზღვების ბიოლოგიურ რესურსებს, ჩრდილოეთის პირობებში ადამიანის აკლიმატიზაციის საკითხებს. მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია აგრეთვე რუსული ეროვნული კულტურის სიმდიდრეთა შესწავლა, ისტორიისა და ხალხური შემოქმედების ძეგლების დაცვა.

ლომონოსოვის თანამემამულენი ამაყობენ დიდი მიღწევებით სამამულო მეცნიერებაში, რომელსაც მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიოში ცოდნის მრავალი დარგის მიხედვით. დიდი ზღვისპირეთელის იუბილე შეგვახსენებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაბედულად შევიჭრას იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საერთო-სახალხო ამოცანის განხორციელებაში.

დაე კვლავაც მკვიდრდებოდეს ჩვენი მეცნიერების ლომონოსოვური ტრადიციები — გაბედული ნოვატორული აზრის, დაუცხრომელი შემოქმედებისა და ხალხის ერთგულების ტრადიციები.

დიდია რუსეთი, მაგრამ ლომონოსოვი მარტო ჩრდილოეთში შეიძლება დაბადებულიყო, თქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ა. ა. მიხაილოვმა.** აქ თავისუფლებისა და განათლების სულისკვეთება სუფევდა. მკერდი ივსებოდა ყინულოვანი ოკეანის მრისხანე სუნთქვით. იქ ყალიბდებოდა ზღვისპირეთული ხასიათი, იერთობოდა ნება და გამძლეობა, სწორედ ის ლომონოსოვისეული უტეხობა, რომელიც გულისხმობს შეუპოვრობას ყოველი დაბრკოლების წინაშე მიზნისაკენ სავალ გზაზე.

ზღვისპირეთის ჩრდილოეთი მრავალი წელი იყო ძველი ლიტერატურის ხელნაწერი ძეგლების მცველი, რუსი ხალხის ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებთა მთავარი საუნჯე. ლომონოსოვი — პოეტი და რიტორიკოსი შვა სწორედ იმ ენობრივმა და კულტურულმა წრემ, რომელსაც იგი შეეძლო ეშვა და კიდევაც უნდა ეშვა იმხანად. ლომონოსოვის დიდი გმირობა გახდა მის მიერ შექმნილი „რუსული გრამატიკა", რომელმაც ენის სტიქია და მრავალხმიანობა მეცნიერების კალაპოტში მოაქცია, დასაბამი მისცა თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის შექმნას.

გასაოცარი და შვენიერია: ორსაუკუნე-ნახევრის შემდეგ, რომელთა მანძილზეც რუსული პოეტური ენა მდიდრდებოდა მასზე ისეთი გენიოსების შემოქმედების მთელი ძალით, როგორიც არიან პუშკინი, ნეკრასოვი, მაიაკოვსკი და სხვები, ლომონოსოვის სიტყვა ჟღერს ხალისიანად, მომწოდებლად, მღელვარედ. და ჩვენ, დიდი ზღვისპირეთელის შთამომავალნი, ეროვნული სიამაყისა და იმ ადამიანისათვის სიამაყის გრძნობით, რომლის სულიერი ძალები წარმოუჩინა მსოფლიოს მიხაილო ლომონოსოვმა, პატივს მივაგებთ მის სახელს, მის ხსოვნას.

იგი რუსეთის აწმყოთი და მერმისით ცხოვრობდა, ყველაფერს, რაც შეეძლო, მამულის საკეთილდღეოდ აკეთებდა, სწამდა, ელოდა იმ დროს, როს რუსთ ქვეყანა გაახარებდა სამამულე რქას!

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გ. ი. მარჩუკმა დამსწრეთ აცნობა, რომ მეცნიერებათა აკადემიისა და ამ კრების სახელზე უამრავი დეპეშა და მისალმება მოვიდა სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, მათ შორის საზღვარგარეთიდან. მიღებულია იუნესკოს გენერალური მდივნის დეპეშა. მეცნიერმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გამოგზავნა მილოცვა რუსული და მსოფლიო კულტურის ისტორიის ამ სახელოვანი თარიღის გამო.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეებს უჩვენეს მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი". (საქდესი).

ჭადრაკი

ვიქტორ გურგენიძის მემორიალზე

თბილისი. [illegible] სასახლეში [illegible] უბილავა-ტალის მესამე ტურის შეხვედრაში გათამაშდა ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ვარიანტი. მდგომარეობა სწრაფად გათანაბრდა და მეტოქეები დაზავდნენ. გურგენიძე თეთრებით დებიუტში ორიგინალურად თამაშობს, რითაც მოწინააღმდეგეებს სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებს. უნგრელ საერთაშორისო ოსტატ კაროლთან შეხვედრაში გურგენიძემ მოიგო პაიკი, შემდეგ თანამიმდევრულად გააძლიერა პოზიცია და მოიგო. ქულა მოიპოვა აგრეთვე ფრუნზელმა ოსტატმა კანცლერმა, რომელმაც ორმხრივ უძლიერეს ცაიტნოტში აჯობა არხიპოვს. რომანიშინი შეეცადა დაეუფლებოდა ინიციატივას, მაგრამ ზაიჩიკი ფხიზლად იყო და მდგომარეობის გამარტივების შემდეგ ყაიმი აღინიშნა. ფოიშორმა ტურნირი ორი წაგებით დაიწყო. გასაგებია, იგი ამჯერად მეტად ფრთხილობდა აზმაიფარაშვილთან. შავებით მოთამაშე ქართველმა ოსტატმა თანაბარ პოზიციაში დაზავება არჩია. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით წინ არიან მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი და საერთაშორისო ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. ორ-ორი ქულა დააგროვეს დიდოსტატებმა ოლეგ რომანიშინმა და გენადი ზაიჩიკმა. ორი პარტიიდან 1,5 ქულა აქვს საერთაშორისო ოსტატს ელიზბარ უბილავას.

გ. გამრეკელი.

მარადონამ აღიარა...

არგენტინელმა ფეხბურთელმა, მექსიკის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ დიეგო მარადონამ ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ მან ინგლისელებთან მეოთხედფინალურ მატჩში ბურთი ხელით გაიტანა. თავის დროზე მის მიერ გატანილმა ამ გოლმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაშინ მარადონა აცხადებდა, რომ, თუკი ვინმემ დაინახა, რომ ბურთი ხელით გავიტანე, ამაში ჩემი კი არა, ღმერთის ხელი ურევიაო. ახლა კი, ჩემპიონატის დამთავრებიდან თითქმის ნახევარი წლის შემდეგ, ინგლისის გაზეთ „სანდი ექსპრესისათვის" მიცემულ ინტერვიუში მარადონამ თქვა, მაშინ ვიხუმრეო. „უდავოა, მე ხელით ვითამაშე, მაგრამ რა არ ხდება მატჩის დროს, როცა გამარჯვების გზის ძიებაში ხარ. ინგლისელებთან შეხვედრისას ჩემმა ეშმაკობამ გაჭრა. ბურთი კარში აღმოჩნდა, ოღონდ ეს არის, მაშინ საქმის მორალურ მხარეზე არ დავფიქრებულვარ..."

მტკიცდება ეკონომიკური ინტეგრაცია

ვარშავა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელების მოსკოვის სამუშაო შეხვედრის შედეგები ხელს შეუწყობს სოციალისტური სახელმწიფოების მრავალმხრივი თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე აყვანასა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის სრულყოფას, ნათქვამია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომის შესახებ აქ გავრცელებულ ცნობაში.

მოძმე პარტიათა მჭიდრო თანამოქმედება, სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობა, რომელიც ნიადაგ ფართოვდება, ქვეყნად პროგრესისა და მშვიდობის ძალების განმტკიცება — ეს არის პრინციპები, რომლებსაც სავსებით უჭერს მხარს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, აღინიშნა სხდომაზე. პოლონელი ხალხი მხარს უჭერს სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, მის დაუცხრომელ მეცადინეობას გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებისათვის, რასაც დამაჯერებლად მოწმობს სსრ კავშირის წინადადებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა რეიკიავიკის შეხვედრაზე.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება, ამ პროცესის კომპლექსური ხასიათი და თანამიმდევრულობა მის განხორციელებაში — პოლონეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პრინციპული ფაქტორია, ხაზგასმით აღნიშნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ. ახლა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გარდაქმნის პერიოდში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო კოოპერაციას, საწარმოებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების უშუალო კავშირს, აგრეთვე ერთობლივ საწარმოთა შექმნას.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ კმაყოფილებით აღნიშნა მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელიც უკანასკნელ წლებში შეინიშნება სოციალისტურ ქვეყნებს, უწინარეს ყოვლისა, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ასეთი ურთიერთობის განმტკიცებაში. დიდი მნიშვნელობის საკითხია აგრეთვე 2000 წლამდე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის უფრო ეფექტიანი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გაეცნო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის ბუქარესტში გამართული 42-ე სხდომის მიმდინარეობასა და შედეგებს და ხაზ გასმით აღნიშნა, რომ მასზე მიღებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობს თანამშრომლობისა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის თვისებრივად ახალი ფორმების განვითარების დაჩქარებას.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09,
პ/მდივნის — 99-72-80,
სამდივნოსი — 99-66-10,
განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61,
მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20,
სოფლის მეურნეობის — 99-52-46,
მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34,
საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70,
მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58,
ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01,
ფელეტონის — 93-22-93,
ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90,
უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21,
მშრომელთა წერილების — 99-78-24,
ილუსტრაციის — 93-28-54,
საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.
საკორესპონდენტო პუნქტები
მოსკოვი — 290-68-47;
სოხუმი — 2-40-19;
ბათუმი — 3-41-69;
ცხინვალი 2-22-52;
ქუთაისი — 5-26-36;
რუსთავი — 14-27-87;
გორი — 2-83-10;
ახალციხე — 2-03-15;
ფოთი — 5-58-69;
მახარაძე — 6-34-44;
ზესტაფონი — 5-56-36;
თელავი — 3-12-09;
წითელწყარო — 23-66;
ტყიბული — 25-32.

20 ნოემბერი ● საქდესი იუწყება

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

◆ აშშ-საბერძნეთი

ძნელი მოლაპარაკება

ვაშინგტონი. საბერძნეთში განლაგებული ამერიკის სამხედრო ბაზების მომავლის საკითხს შეეხნენ აქ დაწყებულ მოლაპარაკებაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლოს პაპულიასი, რომელიც შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ოფიციალურ ვიზიტად. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, დისკუსიის დროს განიხილებოდა აგრეთვე ხმელთაშუაზღვისპირეთის ვითარება, სხვა საერთაშორისო პრობლემები, ორმხრივი ურთიერთობის საკითხები.

საბერძნეთში განლაგებული ამერიკული ბაზების საკითხი ბოლო ხანს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ვაშინგტონში იმის გამო, რომ 1988 წლის დეკემბერში მოქმედების ვადა გასდის საბერძნეთ-ამერიკის ხუთწლიან შეთანხმებას, რომელიც საბერძნეთის მიწა-წყალზე ამერიკული სამხედრო ობიექტების არსებობას არეგულირებს. ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას. ვაშინგტონმა უკვე აგრძნობინა ათენს, რომ მას ხელს არ აძლევს შეთანხმების ზოგიერთი დებულება, რაზეც საბერძნეთის მთავრობამ განუცხადა, რომ არ აპირებს შეთანხმებაში თეთრი სახლისათვის სასურველი რაიმე ცვლილებების შეტანას. ეს საკითხი განიხილება შემდგომი მოლაპარაკების დროს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის გამონათქვამებით თუ ვიმსჯელებთ, საბერძნეთის მინისტრმა უარი თქვა აგრეთვე მხარი დაეჭირა პროვოკაციული ანტისირიული კამპანიისათვის, რომელსაც გაძლიერებით აჩაღებს ამჟამად დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა ვაშინგტონი და ლონდონი.

● ინგლისი

მხოლოდ გულუხვი დაპირებებით

დამთავრდა დებატები დედოფლის სეფესიტყვის გამო

ლონდონი. კონსერვატორთა მთავრობის მიერ წამოყენებულ ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას არ ძალუძს ქვეყნის გამოყვანა კრიზისიდან, რომელსაც იგი განიცდიდა ხელისუფლების სათავეში მარგარეტ ტეტჩერის კაბინეტის ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე.

ასეთია ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ერთსულოვანი აზრი, რომელიც მათ გამოხატეს დიდი ბრიტანეთის დედოფლის სეფესიტყვის გამო მოწყობილი საპარლამენტო დებატების დროს. არსებული ტრადიციისამებრ ამ გამოსვლაში ჩამოყალიბებული იყო მმართველი პარტიის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მისი საკანონმდებლო პროგრამა პარტიის ახლანდელი სესიის მუშაობის პერიოდისათვის.

როგორც თემთა პალატის ტრიბუნიდან განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოადგილემ როი ჰეტერსლიმ, კონსერვატორთა მთავრობამ ვერ გამონახა ბრიტანეთის ეკონომიკის ყველაზე მწვავე პრობლემების — უმუშევრობისა და სიღატაკის — გადაჭრის რეალური გზები. ეს „მაჩვენებლები" და ბრიტანული ეკონომიკის ტრადიციული დარგების დაქვეითება — აი კონსერვატორთა კაბინეტის ნამდვილი „მიღწევები", თქვა მან.

მთავრობა ძალაუფლების გამოყენებას ამჯობინებს სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირებისათვის, რის შედეგადაც უმუშევრობის ოფიციალური ციფრები საგრძნობლად შემცირდა, აღნიშნა თავის მხრივ ლეიბორისტების სათადარიგო კაბინეტის წევრმა ჯონ სმიტმა. მაგრამ მაქინაციები ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ დღევანდელ ბრიტანეთში 4, და არა 3,2 მილიონი „ზედმეტი ადამიანია", როგორც კონსერვატორთა ლიდერები ირწმუნებიან, ხაზი გაუსვა მან.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა დევიდ ოუენმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ კონსერვატორთა პროგრამის გულუხვი დაპირებები „საყოველთაო კეთილდღეობის" თაობაზე შორს არის რეალობისაგან და მათ მკაფიოდ გამოხატული საარჩევნო პროპაგანდის ხასიათი აქვთ. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ამგვარი პროპაგანდისტული თამაში, მით უფრო გაიზრდება ინგლისის ეკონომიკური თვითმკვლელობის რისკი, ხაზი გაუსვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელმა.

ახლანდელი დებატების დროს გამოვლინდა, რომ მთავრობის პოლიტიკა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს თვით მმართველი პარტიის რიგებშიც. მაგალითად, ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ედვარდ ჰიტმა აშკარად დააბრალა კაბინეტის მინისტრებს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემისათვის „უდიდესი ზიანის" მიყენება, საბინაო მშენებლობის უპრეცედენტო კრიზისი, განათლების სისტემის დაქვეითება.

ფოტოინფორმაცია

CLEVELAND
NUCLEA DISARMAME
BY T YEAR 2000!

◆ სამშვიდობო მარში, რომელშიც ყველა ასაკის ამერიკელები მონაწილეობენ, იმართება დედამიწაზე მთელი ბირთვული იარაღის მოსპობის ლოზუნგით.

სურათზე: სამშვიდობო მარშის მონაწილენი ვაშინგტონისაკენ მიდიან.

საქდესის ფოტო.

● იტალია

მთავრობის მეორე მარცხი

რომი. იტალიის მთავრობამ მოკლე დროის მანძილზე მეორე მარცხი განიცადა პარლამენტში. დეპუტატთა პალატაში ფარული კენჭისყრის დროს არ დაამტკიცეს ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს 1987 წლის ბიუჯეტის პროექტი. წინააღმდეგ მისცეს ხმა არა მარტო ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმა, არამედ მმართველი კოალიციის ბევრმა წარმომადგენელმაც. მანამდე ჩააგდეს სახალხო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი.

დეპუტატთა პალატის სხდომა სასწრაფოდ შეწყვიტეს, რათა მთავრობისათვის მიეცათ შესაძლებლობა შეეტანა ცვლილებანი თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის პროექტში და იგი ახალი ვარიანტით წარმოედგინა. ამის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადეს იტალიელმა კომუნისტებმა, მთელმა რიგმა სხვა პარტიებმა. ცხადია, რომ მთავრობას ახლა არა ჰყავს საკმარისი უმრავლესობა, რათა შეასრულოს თავისი მოვალეობანი, განაცხადა დეპუტატთა პალატაში იტალიის კომპარტიის ჯგუფის თავმჯდომარემ რენატო ძანგერიმ. მან უნდა გამოიტანოს დასკვნები შექმნილი ვითარებიდან. მიგვაჩნია, თქვა მან, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა განახლდეს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა, მოეწყოს პოლიტიკური კამათი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული მუხლების გამო კენჭისყრის დროს პარლამენტში კაბინეტის მორიგმა მარცხმა კოალიციის რიგებში არევ-დარევა და დაბნეულობა გამოიწვია. არა მგონია, განაცხადა დეპუტატთა პალატაში ქრისტიან დემოკრატთა ჯგუფის თავმჯდომარემ ფერმო მინო მარტინაცოლიმ, რომ საქმე ეხება რაღაც „ინციდენტს". ყოველივე ამას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ უნდა ჩავუფიქრდეთ კოალიციური უმრავლესობის შემდგომ ბედს.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. არაბეთის გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში გრძელდება ქალთა და ვაჟთა მსოფლიო ოლიმპიადები. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მეხუთე ტურში დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი ანგარიშით 2:1, ვაჟები კი იუგოსლავებთან დასჯერდნენ ფრეს — 2:2.

თავისუფალი ჭიდაობა. დნეპროპეტროვსკში დამთავრებულ 1970-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ათლეტთა საკავშირო შეჯიბრებაზე თბილისელმა სპარტაკელმა **თამაზ კურკუმულმა** 97 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა. მისმა სამტრედიელმა თანაკლუბელმა **აკაკი გაბედავამ** (81 კგ) კი მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ფეხბურთი. გთავაზობთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფებში გამართული მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: **მესამე ჯგუფი.** გდრ-საფრანგეთი — 0:0; **მეოთხე ჯგუფი.** ჰოლანდია-პოლონეთი — 0:0; **მეშვიდე ჯგუფი.** ბელგია-ბულგარეთი — 1:1. მესამე ჯგუფში 3-3 მატჩის შემდეგ გუნდები ასეთი თანამიმდევრობით არიან განლაგებული: სსრ კავშირი — 5 ქულა, გდრ — 4, ისლანდია და საფრანგეთი — 2-2, ნორვეგიელებს 2 შეხვედრიდან 1 ქულა აქვთ. მეხუთე ჯგუფში 2-2 მატჩის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ პოლონელები და ჰოლანდიელები, მეშვიდე ჯგუფში კი 3-3 შეხვედრის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერთა შორის არიან ბელგიელები და შოტლანდიელები.

კალათბურთი. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დაასრულა თავისი ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბოლო, მეთოთხმეტე მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა გამართეს კანზასის უნივერსიტეტის გუნდთან და დამარცხდნენ ანგარიშით 78:84. ჩვენმა სპორტსმენებმა 14 მატჩიდან 8 შეხვედრა მოიგეს.

ტანვარჯიში. ოსლოს სპორტულ კომპლექს „ეკბერგში" მოსული მაყურებლები მოწმენი გახდნენ საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილთა დახვეწილი ოსტატობისა. აქ საჩვენებელი გამოსვლა ჰქონდათ სსრ კავშირის მხატვრული და სპორტული ტანვარჯიშის აღიარებულ წარმომადგენლებს. სპორტულ ტანვარჯიშში სხვებთან ერთად მოწონება დაიმსახურა თბილისელმა **ეკა ზუთურიძემ.** საბჭოთა სპორტსმენები საჩვენებელ გამოსვლებს გამართავენ აგრეთვე შვეციის ქალაქებში — ეს ტერსუნდსა და უფსალაში.

მოსკოვი

21 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — მხატვრული ტელეფილმი „მიხაილო ლომონოსოვი". მესამე სერია. 11.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 11.35 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი. 16.40 — კონცერტი. 17.05 — რუსული მეტყველება. 17.35 — ახალი ამბები. 17.40 — მულტფილმი. 18.55 — დოკუმენტური ფილმი ლოთობის მავნეობის შესახებ. 19.15 — თანამეგობრობა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატთან ი. ვლასოვთან. 21.30 — რუსეთის სხვადასხვა ოლქის ხალხური სიმღერები. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ესტრადის იტალიელი და საბჭოთა მსახიობების კონცერტი. ტრანსლაცია ლუჟნიკის სპორტის სასახლიდან. დასასრულ — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — მუსიკა. მესამე კლასი. 10.05 და 14.35 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექსასწავლებელთა მოსწავლეთათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.40 — ისტორია. მეშვიდე კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 13.10 — საკონტროლო დიდებისათვის". გადაცემა მეხუთე. 15.05 — ი. ბაბელის ნაწარმოებები. 16.00 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მცენარეთა სამყარო. 20.00 — ფეხბურთი. კიევის „დინამო"-„ზენიტი". „სპარტაკი"-„ნეფთჩი" შესვენების დროს (20.45) — „ძილი ნებისა, პატარებო!" 22.00 — „ვრემია". 22.40 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. „სისხლის სამართლის სამძებროს სადაგი დღეები". 00.10 — ახალი ამბები.

თბილისი

21 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მეთევზის პური" და „სამუშაო ადგილზეა პატრონი". 11.00 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა" (მ.). 11.35—„კომედიის საღამო" (განმეორებით). 12.35 — დოკუმენტური ფილმი „ჭადრაკი ანფასსა და პროფილში". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — კონცერტი „ესპანური მოტივები" (განმეორებით). 14.10 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბებერი მეზურნეები". 15.20 — დოკუმენტური ფილმი. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — დოკუმენტური ფილმი „მძღოლები". 17.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები „ჩემს თავს ვეკითხები" და „რეფორმა გვაჩქარებს". 17.50 — განცხადებები. 17.55 — მოსწავლეთათვის. „მეგობრობის მერიდიანზე". 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფისუნია ქენიაზე". 18.40 —კოლექტიური მებაღეობის წევრთა დასახმარებლად. „ჩვენი ბაღი". 19.00 — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ. მხატვრული თვითმოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი. 19.30 — ახალგაზრდობისათვის. რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — როგორ მოვემზადოთ ზამთრისათვის. 21.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ინტერვიუ პრემიერის წინ". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „ვაჟა-ფშაველას ნაანდერძევი" (კითხულობს გ. ხარაბაძე). 0.10 — მღერის ანსამბლი „რიკი ე. პოვერი" (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ყველაფერში დამნაშავეა ზალინა". 17.50 — განცხადებები. 17.55 — კინონარკვევი „ჩუგუნკა". 18.05 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ჩვენს ტელეეკრანებზე

თეატრი

21 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (მე-17 აბონ. მე-3 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასის წლის წინათ; მოზარდ მაყურებელთა ქართული — სალამურა, აბონ. № 9, 12 ს. რკინიგზელთა სახლის შენობაში. ოლთლები (აბონ. № 60, 62 4 ს., აბონ. № 61, 62, 7 ს. გრიბოედოვის თეატრის შენობაში).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, პარტიული და პროფკავშირული კომიტეტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ყოფილი სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფის გამგე რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

თედორე ივანეს ძე მღებრიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07737 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16